ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ვინ დაატარებს პარლამენტში ჯიბით კონიაკს



გვ.3

„სხდომის დაწყების წინ დეპუტატები თვრებიან“

**10 მაისიდან**

**ანა ფრანკის დღიური**

ოქროს ბიბლიოთეკა ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



სამშაბათი, 10 მაისი, 2016 №109 (7035) ფასი: 50 თეთრი

# პაატა ზაქარეიშვილს პრემიერმა გადადგომისკენ მოუწოდა?



გვ.2

„თუ მას გააჩნია სხვა მოსაზრებები, მიიღოს ჩვეულებრივი ადამიანური გადაწყვეტილება“



## უსუფაშვილი: „არ მგონია, რომ ვინმე ვინმეს გადაყენებას აპირებს“



## ირაკლი სესიაშვილი: „ქართული ოცნება“ მექიაურის პოზიციას ემიჯნება



გვ.3

კვირიკაშვილი გვ.2 მექიაურის წინააღმდეგ



## სევდია უგრეხელიძე: „ნარმანიას დააწინაურებენ“





გვ.4

## ონლაინ-სესხების მარეგულირებელი ორგანო ეროვნული ბანკი იქნება



გვ.4



გვ.2

## „ქართულ ოცნებაში“ ნაციონალების ჩანერგილები ურევენ სიტუაციას“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „სიაში ისეთი ხალხი მაინც შეიყვანონ, რომლებიც გადამწყვეტ მომენტში არ უღალატებენ“

## დემურ გიორხელიძე: „ლარის გამყარება პრობლემებს ვერ შეამცირებს“



გვ.4

„ჩვენი ეკონომიკის მოცულობა მხოლოდ 16 მილიარდი დოლარია“

## სომხეთმა საქართველოსგან შესაძლოა ელექტროენერგია უფრო იაფად შეიძინოს, ვიდრე შიდა ბაზარზე



გვ.4

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

# ქართული იდეა





გვ.5

ISSN 1987-9385

# პაატა ზაქარეიშვილს პრემიერმა გადადგომისკენ მოუწოდა?

## „თუ მას გააჩნია სხვა მოსაზრებები, მიიღოს ჩვეულებრივი ადამიანური გადაწყვეტილება“

გუშინ, 9 მაისს, პრემიერ კვირიკაშვილსა და რესპუბლიკელებს შორის ვითარება დაიძაბა.

ყველაფერი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით დაიწყო.



— „ქართული ოცნების“ დუმილი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ბატონი მეჭიაურის ესა თუ ის განცხადება.

ასე გამოეხმაურა პაატა ზაქარეიშვილი ქართულ-ამერიკულ სწავლებასთან დაკავშირებით უმრავლესობის წევრის, თამაზ მეჭიაურის განცხადებას, რომელიც არ გამორიცხავს, რომ ქართულ-ამერიკული წვრთნები, რომელიც საქართველოში 11 მაისს დაიწყება, სერიოზული პროვოცირების მიზეზი გახდეს, რამაც, შესაძლოა, 2008 წლის მსგავს კონფლიქტამდე მიგვიყვანოს.

ეს კომენტარი მეჭიაურმა რამდენიმე დღის წინ ინტერპრესნიუსთან საუბრისას გააკეთა.

როგორც ზაქარეიშვილმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს განუცხადა, მას არ აინტერესებს, რას უკავშირდება მეჭიაურის განცხადება.

— გამორიცხულია, ჩვენ ვიხილოთ 2008 წლის შესაბამისი მოვლენები, რადგან ქართული მხარე პროვოკაციებს არ აყვება, მაგრამ, რაც შეეხება უშუალოდ მის შეფასებას, ეს არის ყოვლად მიუღებელი, რადგან შარშან სწორედ ამ დროს ჩატარდა ამ ტიპისვე წვრთნები, ადრეც ტარდებოდა და მაშინ რატომღაც ხმა არ ამოუღია ბატონ მეჭიაურს.

ბატონი მეჭიაური თავისთავად მარტო, როგორც ადამიანი, არაფერი არაა. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, „ქართული ოცნება“ ამას როგორ უყურებს. „ქართული ოცნების“ დუმილი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ბატონი მეჭიაურის ესა თუ ის განცხადება, — განაცხადა ზაქარეიშვილმა.

* * *

კაბინეტის წევრის განცხადებას პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი მალევე გამოეხმაურა.

მისი აზრით, პაატა ზაქარეიშვილის განცხადება არაობიექტურია და თუ ზაქარეიშვილს სხვა მოსაზრებები გააჩნია, შეუძლია მიიღოს ჩვეულებრივი ადამიანური გადაწყვეტილებები.

— მე მაკვირვებს პაატა ზაქარეიშვილის განცხადება, იმიტომ, რომ ეს არის აბსოლუტურად არაობიექტური განცხადება. მე მგონია, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან და ასევე პარლამენტარების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება, — განაცხადა პრემიერმა კვირიკაშვილმა.

მისი თქმით, მთავრობას აქვს ძალიან მკაფიო საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და ამ პრიორიტეტების დადასტურება არაერთხელ მოხდა არაერთ საერთაშორისო თუ შიდა ფორმატში,

— რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს მთავრობის წევრი გამოხატავს უკმაყოფილებას მისი აზრით, დუმილის გამო, ეს არის მისი გადაწყვეტილება. თუ მას გააჩნია სხვა მოსაზრებები, მიიღოს ჩვეულებრივი ადამიანური გადაწყვეტილება, რადგან მე ვფიქრობ, მთავრობის წევრის მხრიდან არაობიექტური კრიტიკა მმართველი ძალის, ძალიან გასაკვირი და მიუღებელია. ძალიან გული მტკივა ამ განცხადების გამო, ამიტომ არ შემეძლო, არ გამეკეთებინა ასეთი ვრცელი კომენტარი, — განაცხადა პრემიერმა.

* * *



პრემიერის ამ განცხადებას რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბერძენიშვილის, მწვავე შეფასება მოჰყვა.

— პრობლემა აქვს არა პაატა ზაქარეიშვილს, არამედ საკუთარ პარტიასთან პრობლემა აქვს პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს — ის რეტროგრადების მძევალია, თუ შეძლებს „ქართული ოცნების“ რეფორმირებას, — განაცხადა ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარემ დავით ბერძენიშვილმა.

დეპუტატის შეფასებით, „მეჭიაურებისა და კვირიკაშვილების ურთიერთგამომრიცხავი ხალხი რომ არის „ქართულ ოცნებაში“, ამიტომ არის პარტია არშემდგარი“.

— ზაქარეიშვილმა თქვა, რომ მას მეჭიაურის ანტიდასავლური განცხადებები კი არ აკვირვებს, არამედ ამდენი დღის განმავლობაში პარტია „ქართული ოცნების“ დუმილი აკვირვებს და ამაზე ნამდვილად არ იყო ადეკვატური პასუხი რაღაც ადამიანურ გრძნობებზე და გადაწყვეტილებებზე. არავის არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ აშინებს, — განაცხადა დეპუტატმა.

მისი აზრით, კვირიკაშვილის მთავარი პრობლემა ის კი არ არის, რესპუბლიკელი მინისტრები რამდენი კვირით იქნებიან მინისტრები, არამედ ის, რომ „ქართული ოცნების“ მეჭიაურიზაცია ხდება.

— რაც ივანიშვილი წავიდა პარტიის უფროსობიდან, მეჭიაურები რომ მოძლიერდნენ. ივანიშვილის საპასუხოა ქართული საზოგადოებისთვის, რატომ მოძლიერდა მეჭიაური, ივანიშვილის სახელით რომ ლაპარაკობს, მათ შორის, ანტინატოურ ამბებს. ივანიშვილსაც შეუქმნეს ძალიან სერიოზული პრობლემა მეჭიაურმა, თოფაძემ და ასე შემდეგ, — განაცხადა ბერძენიშვილმა.

მისივე თქმით, კვირიკაშვილი რეტროგრადების მძევლად იქცევა და რაც უფრო მალე დაშორდება რესპუბლიკელებს, მით უფრო მალე ჩაუვარდება ხელში რეტროგრადებს.

— ჯერ გადაწყვეტილება მიიღოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა — მეჭიაური არ უნდა იყოს მის პარტიაში. თუ მეჭიაური იქნება მის პარტიაში და მეჭიაურები არიან „ქართული ოცნების“ განმაახლებლები, მაშინ განახლება არის არა დემოკრატიის, არამედ რეტროგრადობის მიმართულებით, — განაცხადა დავით ბერძენიშვილმა.

### უსუფაშვილი: „არ მგონია, რომ ვინმე ვინმეს გადაყენებას აპირებს“

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არ ფიქრობს, რომ ვინმეს გადადგომა ან გადაყენება იგეგმება.

ის მოხარულია, რომ იმ კონკრეტული საკითხის გარშემო, რასაც სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილისა და პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებები მოჰყვა, აზრთა თანხვედრა არსებობს.

— უმრავლესობასა და მთავრობაში ყოფნა, ერთი მხრივ, დამოკიდებულია ჩვენს გადაწყვეტილებაზე და მეორე მხრივ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებაზე. პირველივე კონკრეტულ თემაზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებას არავის ვურჩევ, მაგრამ იმას ვადასტურებ, რომ 27 მარტს, პარტიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში მკაფიოდ წერია, რომ ჩვენ მთავრობაში მანამდე ვიქნებით, სანამ ყოფნას შევძლებთ და ჩავთვლით, რომ ეს შესაძლებელი და საჭიროა, — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ საარჩევნო კამპანიის მოახლოებისთანავე მინისტრებს თანამდებობების შენარჩუნებას თავად კანონი უკრძალავს.

— მთავრობის შემადგენლობის საკითხები პრემიერ-მინისტრის გადასაწყვეტია, მაგრამ არ მგონია, დღეს საქმე იმ შემთხვევასთან გვაქვს, როცა ვინმე გადადგომას, ან ვინმე ვინმეს გადაყენებას აპირებს. კონკრეტული საკითხი, რასაც მინისტრის და შემდგომ პრემიერის საჯარო განცხადება მოჰყვა, ძალიან კონკრეტული საკითხია, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

# „ქართულ ოცნებაში“ ნაციონალების ჩანერგილები ურევენ სიტუაციას“

## ნიკოლოზ მჟავანაძე: „სიაში ისეთი ხალხი მაინც შეიყვანონ, რომლებიც გადამწყვეტ მომენტში არ უღალატებენ“

შორენა მარსაგიშვილი

რა ტესტებს აბარებენ „ქართული ოცნების“ სიაში მოხვედრის მსურველები, ვის მიაქვს ლიდერებთან არაზუსტი ინფორმაციები, რა საფრთხეს უქმნიან ქვეყანას რესპუბლიკელები და რომელმა მეოცნებემ გადააჭარბა მათ? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრება.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

— ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი ვაშაძის წასვლამ სახელისუფლებო გუნდში დიდი ზარ-ზეიმი გამოიწვია. ვიღაცები მისგან გმირსაც კი წარმოაჩენენ, რაც დიდ სისულელედ მიმაჩნია. თურმე ვაშაძემ ახლა აღმოაჩინა, რომ ნაცმოძრაობა ცუდია და იქ ვიღაცები კაბინეტურად მართავენ პარტიას. გოგა ხაჩიძესთან და ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად რომ წამოსულიყო, კიდევ რაღაცას ვიფიქრებდი, მაგრამ ახლა მისი წასვლა გარკვეული გეგმის ნაწილია.

პიროვნული დაპირისპირება ნაცმოძრაობაში მაშინაც იყო, როცა ისინი ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ. ბოკერიას, ოქრუაშვილის, ახალაიას და მერაბიშვილის ჯგუფები სულ ებრძოდნენ ერთმანეთს. ამის მიუხედავად, მათგან მხოლოდ ოქრუაშვილი წავიდა. არც ვაშაძე წავიდოდა პარტიიდან, მაგრამ ეს გეგმას დასჭირდა.



რამდენიმე თვეში საპარლამენტო არჩევნებია, რომლის შედეგების გასაპროტესტებლად ნაციონალები უკვე ახლა ემზადებიან. სად ერთი პარტია რომ გააპროტესტებს შედეგებს და სად — ათი. ამიტომაც ნაციონალები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სატელიტი პარტია შექმნან. ერთი აფთარი დიდ ცხოველებს პრობლემას ვერ შეუქმნის, აფთრების ჯოგი ნებისმიერ დიდ ცხოველს გაუსწორდება. ჩვენ ახლა აფთრებთან გვაქვს საქმე, რომლებიც თანდათან მრავლდებიან. როდის დაესხმებიან ნაციონალების სატელიტები „ქართულ ოცნებას“ თავს, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

***— ნაციონალები მხოლოდ იმიტომ იშლებიან, რომ არჩევნები გააპროტესტონ?***

— სწორედ ეს არის მათი მიზანი. საერთაშორისო თანამეგობრობას ნამდვილად ექნება რეაქცია, როცა დაინახავენ, რომ არჩევნების შედეგებს ბევრი პარტია აპროტესტებს. კარგი იქნება, თუ ამას „ქართულ ოცნებაში“ მიხვდებიან და მოწინააღმდეგის დაშლას ნუ იზეიმებენ. არ გამოვრიცხავ, ნაცმოძრაობა კიდევ რამდენიმე ადამიანმა დატოვოს და მათაც შექმნან სატელიტი პარტია.

„ქართულ ოცნებას“ რამდენიმე დაჯგუფებასთან მოუწევს ბრძოლა. ის მაინც უნდა გააკეთონ, რომ საარჩევნო სიაში ნორმალური ხალხი შეიყვანონ. ისეთები მაინც შეარჩიონ, რომლებიც გადამწყვეტ მომენტში არ უღალატებენ.

***— რამდენად მაღალია იმის ალბათობა, რომ მათ სიაში მოღალატეები მოხვდებიან?***

— ამის ალბათობა საკმაოდ მაღალია. სამწუხაროდ, 2012 წელსაც დაუშვეს „ოცნების“ მესვეურებმა ასეთი შეცდომა. არჩევნებიდან ძალიან მალე ვნახეთ, როგორ დაუპირისპირდნენ ალასანია, ფანჯიკიძე და პეტრიაშვილი ხელისუფლებას. ისეთი ხალხი მაინც შეარჩიონ, ვისთვისაც სკამი არ იქნება მთავარი. ძალიან კარგად ვხვდები, ვინ ურევს სიტუაციას და ქმნის პრობლემებს.

***— ამ ამრევის ვინაობას არ დაასახელებთ?***

— ამ ეტაპზე სახელების და გვარების

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# კვირიკაშვილი მეჭიაურის წინააღმდეგ

„მეჭიაურის განცხადება აცილებულია „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკურ კურსს“

— თამაზ მეჭიაურის განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობისა და პარტია „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს.



ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ, 9 მაისს, გააკეთა.

მან თამაზ მეჭიაურის ის განცხადება გააკრიტიკა, რომლის თანახმადაც დეპუტატი, არსებული მოცემულობით, ნატოში გაწევრიანებას მხარს არ უჭერს.

როგორც პრემიერმა განმარტა, მეჭიაურის განცხადება აბსოლუტურად აცილებულია იმ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია.

— თამაზ მეჭიაურის განცხადებას რაც შეეხება, ნამდვილად უნდა ვთქვა დიდი სინანულით, რომ ბატონი თამაზის განცხადება არის აბსოლუტურად აცილებული იმ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს მთავრობას გააჩნია. ძალიან დასანანია, რომ ბატონი თამაზის განცხადებები არ გამოხატავს საქართველოს მთავრობის და პარტია „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტს, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვინ დაატარებს პარლამენტში ჯიბით კონიაკს

## „სხდომის დაწყების წინ დეპუტატები თვრებიან“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ახმარს კულტურის მინისტრი 29 მილიონს, რატომ არჩევინებენ რამდენიმე რაიონს ერთ მაჟორიტარს, ვინ აკეთებს რუსეთის საქმეს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლეიბორისტული პარტიის წევრი გიორგი ჩიტაური ესაუბრება.

**გიორგი ჩიტაური:**

– ალბათ არც პირველი ვიქნები და არც უკანასკნელი, ვინც იტყვის, რომ „ქართული ოცნება“ ტყუპისცალივით დაემსგავსა წინა ხელისუფლებას. მათი ყველა თვისება რომ გადაიღეს, გადაწყვიტეს, წინამორბედების მსგავსად, ბიუჯეტის ხარჯზე მოეწყოთ გართობის სეზონი.

რამდენიმე კვირის წინ ხელისუფლების პირველმა პირებმა დიდი ზარ-ზეიმით გვამცნეს, რომ საქართველოში უცხოელი მომღერლების ჩამოსაყვანად 29 მილიონი ლარის გამოყოფას აპირებდნენ. ამათ რომ დაუჯეროს კაცმა, ეს მომღერლები აქ ტურისტების მოსაზიდად ჩამოჰყავთ, რისიც არ მჯერა. ეს მომღერლები, რომლებიც აქ უნდა ჩამოვიდნენ, სხვაგანაც მმართავენ კონცერტებს და იქ წავლენ ტურისტები მათ მოსასმენად.

ასეთი ტაშ-ფანდური წინა ხელისუფლებასაც უყვარდა, მაგრამ მათ ერთი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი მილიონებს იხდიდნენ, მაგრამ ხალხს უფასოდ შეეძლო კონცერტებზე დასწრება. ახლა კი დასწრება ფასიანია. ამით ხელისუფლება 2 კურდღელს იჭერს, ფულსაც იღებენ და საარჩევნო კამპანიასაც მართავენ.

***– საარჩევნო კამპანიას რანაირად მართავენ, ის მომღერლები იტყვიან, ხმა მიეცით ამა თუ იმ კანდიდატსო?***

– ამას არ იტყვიან, მაგრამ ხალხზე მოქმედებს ის ფაქტი, რომ ეს მომღერლები ხელისუფლებამ ჩამოიყვანა. თუმცა ისე ჰყავთ მოსახლეობა გამწარებული, მეეჭვება, მათ რამემ უშველოს. სულ კარდაკარ რომ ატარონ და ამღერონ ეს ვარსკვლავები, მეეჭვება, ხალხმა 41 ნომერი შემოხაზოს.

უკვე რამდენიმე კვირაა, რეგიონებში დავდივარ და კარგად ვიცი ხალხის განწყობა. ასეთი გაუბედურებული ხალხი საქართველოში არ მინახავს. ხელისუფლება მათი პრობლემების მოსაგვარებლად არაფერს აკეთებს, სამაგიეროდ, ტაშ-ფანდურში იხდის მილიონებს.

***– თქვენც ხომ კონცერტებს მართავთ რეგიონებში და თქვენც ხომ ასე ახდენთ საკუთარი პარტიის პოპულარიზაციას?***

– ლეიბორისტულ პარტიას ჩემი პოპულარიზაცია არ სჭირდება. რაც შეეხება ჩვენს კონცერტებს, კონცერტების პარალელურად მე ვხვდები მოსახლეობას და ვისმენ მათ პრობლემებს. სიტუაცია არის კატასტროფული. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ამ პრობლემებს არავინ ახმოვანებს. არადა ყველა რაიონს ჰყავს თავისი მაჟორიტარი.

მართალი იყო შალვა ნათელაშვილი, როცა ამ სისტემის გაუქმებას ითხოვდა. მაჟორიტარები არიან ფულის ტომრები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ სიკეთეზე ზრუნავენ. ხალხის ბედი კი არავის აწუხებს. გითხარით, ნაციონალებს დაემსგავსნენ-თქო და ეს მაჟორიტარების მხარდაჭერაშიც გამოიხატება. არადა ხელისუფლებაში მოსვლის წინ ამბობდნენ, როცა მოვალთ, ამ მახინჯ სისტემას გავაუქმებთო. დაპირება არ შეასრულეს და 21-ე საუკუნის ფეოდალებს ებღაუჭებიან.

***– მაჟორიტარული სისტემა არ გააუქმეს, მაგრამ საარჩევნო ოლქები შეცვალეს და ახლა რამდენიმე რაიონის მოსახლეობას მოუწევს ერთი მაჟორიტარის არჩევა. ამაზე რას ფიქრობთ?***

– ამასაც თავისი მიზანი აქვს. ხელისუფლებას თან არ ეთმობა ეს სისტემა, თან ცდილობს, ვინმე ისეთი არ შეეპაროთ პარლამენტში, ვინც ხალხის პრობლემებზე ისაუბრებს.

***– რატომ გგონიათ, რომ რამდენიმე რაიონს თუ ერთი მაჟორიტარი ეყოლება, ის ხმას არ ამოიღებს?***



– თითო რაიონს ახლა თითო მაჟორიტარი ჰყავს და რომელი იღებს ხმას? დამისახელეთ მაჟორიტარი, რომელიც რაიონის პრობლემებზე საუბრობს. ასეთს ბუნებაში ვერ ნახავ. ამათ რომ უყუროს კაცმა, იფიქრებს, საქართველოში არანაირი პრობლემა არ არსებობსო.

ახლა „ქართულ ოცნებას“ წინ დიდი გეგმები აქვს და შეეცდებიან, ისეთი მაჟორიტარები მოავლინონ პარლამენტში, რომლებიც არაფერზე ამოიღებენ ხმას.

***– რა დიდ გეგმებზე საუბრობთ?***

– საქართველოს რამდენიმე კუთხეში სერიოზული პროცესებია დაწყებული. სვანეთსა და ყაზბეგში საშინელებას აპირებენ. დარიალის ხეობა საერთოდ გაანადგურეს თავიანთი ჰესებით, ახლა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის გაყვანა სურთ, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

ამის პარალელურად სვანეთში ხუდონჰესის აშენება სურთ, რომელიც უამრავ ეკლესიას და რამდენიმე სოფელს დატბორავს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ჰესების უკან ხელისუფლება დგას. ერთი მხრივ, მათ ჯიბეების გასქელება სურთ და მეორე მხრივ, რუსეთის დავალებას ასრულებენ.

რუსეთს დიდი ხანია თვალი უჭირავს საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებზე. ნაწილი ომით წაიღო, ნაწილსაც ამ ხელისუფლების წყალობით დაეპატრონება. ამათი უგუნური ენერგოპოლიტიკა და ჰესებით გატაცება საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს დაცლის. დაცლილი რეგიონების დაპატრონება კი იოლია. „ქართული ოცნება“ უკვე შეუდგა ამ გეგმის განხორციელებას. ესენი თუ არ წავიდნენ, ყაზბეგი, სვანეთი და კიდევ რამდენიმე რეგიონი შესაძლოა მეზობელი სახელმწიფოების მფლობელობაში გადავიდეს.

ამის რეალური საფრთხეები არსებობს, მაგრამ არც ერთი რაიონის მაჟორიტარი პარლამენტში არ გამოსულა. რამე რომ მოხდეს, როგორ გგონიათ, რომელიმე მათგანი ხმას ამოიღებს ქვეყნის დასაცავად?! ეგენი მარტო სუფრაზე არიან მამაცები, როცა თვრებიან, თავი 301 და 302 არაგველად წარმოუდგენიათ. ომს და ბრძოლას ვინ ჩივის, როცა სიტყვით გამოსვლასაც ვერ ახერხებენ, თუ გასამხნევებლად არ დალიეს.

***– რას გულისხმობთ?***

– ეს განცხადება პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება გაიგოთ. დეპუტატების ნაწილი ჯიბით დაატარებს კონიაკს და სხდომის დაწყების წინ 100-100 გრამს ჩაარტყამენ ხოლმე. ზოგს 100 გრამიც არ ჰყოფნის და მეტის დალევა უწევთ. მოკლედ რომ გითხრათ, თვრებიან, რომ სიტყვით გამოსვლა გაბედონ.

***– რომელი დეპუტატები თვრებიან სხდომის დაწყების წინ?***

– მათ ვინაობას ჯერ არ დავასახელებ. პარლამენტში ერთხელ ვისაც გაუვლია, ყველამ იცის მათ შესახებ.

# „ქართულ ოცნებაში“ ნაციონალების ჩანერგილები ურევენ სიტუაციას“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

დასახელებისგან თავს შევიკავებ. იმედი მაქვს, რომ ამ ამრევებს გვერდზე გაწევენ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ეს ხალხი ნაციონალების მიერ არის ხელისუფლებაში ჩანერგილი. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მათ გამოსააშკარავებლად სამუშაოები უკვე დაწყებულია.

***– ზემოთ სიაში შესაყვანი ხალხი ახსენეთ, როგორც ამბობენ, ამ ხალხს უცხო ენაში უტარებენ ტესტებს და კიდევ რაღაც ფსიქოლოგიურ გამოცდას გადიან. მართალია ეს ამბავი?***

– ამბობენ, რომ ფსიქოლოგების დახმარებით არჩევენ ამ ხალხს. ზოგიერთი ისეთი ადამიანი მოიაზრება სიაში, რომ ძალიან მიკვირს, როგორ გადალახეს მათ ან ენის, ან ფსიქოლოგიური ბარიერი.

***– მურთაზ შელიასა და გოჩა ჯამარაულზე საუბრობთ? ამბობენ, რომ კალაძემ კატეგორიულად მოითხოვა მათი სიაში ჩასმა.***

– მე არავის გვარებს არ დავასახელებ ამ ეტაპზე. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა სია დაიდება. მაშინ აღმოვაჩენთ კიდევ ერთ სამწუხარო ფაქტს – სიაში ვიხილავთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც იმ 9 წლის მანძილზე ნაციონალების ფაშისტური რეჟიმი არც ერთხელ არ დაუგმიათ. სამწუხარო ფაქტია, რომ ასეთი ადამიანები „ქართული ოცნების“ სიის ფორმირებაში რაღაც დოზით მონაწილეობენ. მართლა მაინტერესებს, სად იყვნენ იმ 9 წლის მანძილზე, ეძინათ და ახლა გამოიღვიძეს?!

სამარცხვინოდ და გაუმართლებლად მიმაჩნია იმაზე საუბარიც, თუ როგორ ხდება სიის ფორმირება. რატომ უნდა ვიცოდეთ ჩვენ, ამომრჩევლებმა, სიაში ჩასასმელ ხალხს ფსიქოლოგები ამოწმებენ თუ სექსოპათოლოგები? ბარემ ვიზაჟისტებიც მიიწვიონ, შესარჩევი ხალხი პოდიუმზე გაატარონ და შეამოწმონ, როგორი სიარულის მანერა აქვთ.

სიის ფორმირებისას კიდევ ერთ სამწუხარო ტენდენციას ვხედავ. ხელისუფლება ამ მიმართულებითაც ძალიან დაემსგავსა ნაციონალურ მოძრაობას.

***– რაში გამოიხატება ეს მსგავსება?***

– ვერ იტანენ იმ ადამიანებს, რომლებიც განსხვავებული აზრის გამოხატვას გაბედავენ. ამის ნათელი მაგალითია თამაზ მეჭიაური, რომელიც ანათემაზე გადასცეს მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი აზრი დააფიქსირა. მისი პოზიცია მართალიც რომ არ ყოფილიყო, განსხვავებული მოსაზრების გამო ადამიანის გოლგოთას გზაზე გაშვება ვის გაუგია? თამაზ მეჭიაურმა სრული სიმართლე თქვა. ის აცხადებს, რომ ის სამხედრო სწავლება, რომელიც საქართველოში ამ დღეებში გაიმართება, ჩვენს ქვეყანას საფრთხეს უქმნის. თუ ვინმეს ჰგონია, რომ რამდენიმე ამერიკული ტანკი დაგვიცავს რუსული აგრესიისგან, ძალიან შემცდარა.

2008 წლისთვის საქართველოს ამ ამერიკულ ტანკებზე მაგარი სამხედრო ტექნიკა ჰქონდა შეძენილი სხვადასხვა ქვეყნებიდან. ეს ტექნიკა რუსებს ფაქტიურად „შევტენეთ“. იმას, რაც მოხდა 2008 წელს, სხვა სახელი არა აქვს. დავტოვეთ ეს ტექნიკა კოდორში, გორში და სენაკის სამხედრო ბაზაზე, რუსებიც ადგნენ და საბრძოლო ნადავლის სახით წაიღეს.

თქვენი გაზეთის მეშვეობით საზოგადოებას და მეჭიაურის მოწინააღმდეგეებს ვუსვამ კითხვას, რამე რომ მოხდეს, ამერიკული ტანკები დაგვიცავს? ამასთან, მაინტერესებს, ვის როგორ ესმის სტრატეგიული მოკავშირეობა. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს იმას, რომ როცა გიჭირს, სტრატეგიული მოკავშირე დაგეხმარება.

***– ამაზე პასუხი იქნება ის, რომ ამერიკა არაერთხელ დაგვეხმარა.***

– დახმარება რაში გამოიხატა, რუსეთთან ომის დროს პამპერსები და წყალი რომ გამოგვიგზავნა დახმარების სახით? ეს არის მეგობრობა. ვერც ამ ტანკების შემოსვლის მიზანს ვხედავ, თვალის გახარება თუ გვინდა, სხვა საქმეა, მაგრამ აბრაამსის 2 ტანკი სოხუმში და ცხინვალში რომ ვერ ჩაგვიყვანს, ესეც ფაქტია.

ის წვრთნები, რომლებიც ჩვენთან ტარდება, მოლდოვაშიც უნდა გამართულიყო, მაგრამ იქაური ოპოზიციის მოთხოვნით, სწავლება ჩაიშალა. ისინი სახელმწიფოებრივად მიუდგნენ საქმეს. იმ დროს, როცა რუსეთი მზად არის, ლამის ატომური იარაღიც კი გამოიყენოს, 2 ტანკის იმედად მისი გაღიზიანება არ ღირს.

***– რუსეთი ყველაფერზე ღიზიანდება და მაგ ლოგიკით გულზე ხელები უნდა დავიკრიფოთ?***

– გულზე ხელები რატომ უნდა დავიკრიფოთ? უამრავი რამის გაკეთება შეიძლება. სამხედრო წვრთნები ადრეც ჩატარებულა და მომავალშიც ჩატარდება, მაგრამ არ შეიძლება, ოკუპანტ ქვეყანას წითელი ნაჭერი უფრიალო ცხვირწინ.

იმის მაგივრად, რომ რაღაც გონივრული განცხადებები გააკეთონ, უსუფაშვილი და ხიდაშელი კიდევ უფრო ძაბავენ ვითარებას. რამე რომ მოხდეს, ცოლი აიღებს ხელში იარაღს თუ ქმარი? სახელმწიფო საიდუმლოებასაც გასცემენ. გამოვიდა ხიდაშელი და თქვა, ამ სწავლებაზე რამეს თუ მოიმოქმედებს რუსეთი, დასავლეთი დაგვიცავსო. იგივე გაიმეორა უსუფაშვილმაც. მეეჭვება, ვინმემ ჩვენ დასაცავად გამოიდოს თავი, მაგრამ ასეთი გარანტიები რომც არსებობდეს, ამის ხმამაღლა თქმა შეიძლება?!

რუსეთთან ცოტა სხვანაირად უნდა ვიმუშაოთ. შევარდნაძემ დიალოგით შეძლო საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანა. რუსეთთან მაინც მოგვიწევს დიალოგი. სიტუაციის გამწვავებით კი დამატებით კონფლიქტურ კერებს მივიღებთ.

***– რუსული აგრესიიდან და ამერიკული ტანკებიდან ისევ „ქართული ოცნების“ სიის ფორმირებაზე გადავიდეთ. ზემოთ ახსენეთ, თამაზ მეჭიაური ლამის ანათემას გადასცესო და აღარ სვამენ მას სიაში?***

– თუ არ ჩასვამენ, ეს მათთვის იქნება ცუდი. არ შეიძლება ადამიანი მხოლოდ იმიტომ მოიკვეთონ, რომ ის განსხვავებულად აზროვნებს. მგონი, დადგა დრო, როცა ხელისუფლება საბოლოო უნდა გათავისუფლდეს ნაციონალური მოძრაობის შანტაჟისგან.

დარწმუნებული ვარ, მეჭიაურის განცხადებას ბევრი ეთანხმება, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ ამბობენ. იციან, რომ ნაციონალები მათ რუსეთის აგენტებად მონათლავენ. თავის დროზე ზვიად გამსახურდია დსთ-ში რომ შესულიყო, აქ სამხედრო გადატრიალება არ მოხდებოდა და ბევრ უბედურებას ავცდებოდით.

ნაციონალების მძევლად რომ არიან, ამიტომაც არ მაქვს იმედი, რომ „ოცნების“ სია ხალხისთვის სასურველი იქნება. ეროვნული სულისკვეთების მქონე ძალები რჩებიან „ოცნების“ მიღმა. ასეთ შემთხვევაში იქ შესაძლოა ფსევდოლიბერალებმა გაიმარჯვონ. „ქართულ ოცნებაში“ არის ხალხი, რომლებიც რესპუბლიკელებზე უფრო ლიბერალები არიან. სიის წარმოდგენამდე დიდი დრო აღარ დარჩა და მალე გავიგებთ, რომელმა ფრთამ გაიმარჯვა.

ახლა „ქართულ ოცნებაში“ იმაზე უნდა ზრუნავდნენ, რომ ამომრჩეველს ძლიერი გუნდი წარუდგინონ. ამის გარდა, საკუთარი მხარდამჭერების დაფასებაც უნდა იცოდე.

ყოფილი ხელისუფლება თავისი სატელიტებით უკვე ემზადება არჩევნების შედეგების გასაყალბებლად. მხარდამჭერებს სათანადოდ თუ არ დააფასებენ, ამათ არავინ დაუდგება გვერდით და მოხდება ის, რაც 2003 წელს მოხდა.

***– „ქართული ოცნება“ მხარდამჭერებს არ აფასებს?***

– ბევრი ადამიანი, რომელიც გვერდით ედგათ და ნაციონალების რეჟიმის შესაცვლელად იბრძოდა, გუნდის მიღმა დარჩა. ეს კითხვის ნიშანს აჩენს. ეს „ქართულ ოცნებას“ მხარდამჭერებს დააკარგვინებს.

მმართველ გუნდში არიან ძალები, რომლებსაც პარტიის ხელმძღვანელობასთან არასწორი ინფორმაციები მიაქვს. ისინი ცდილობენ, პარტიას ერთგული და გავლენიანი პიროვნებები ჩამოაცილონ. ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, „ქართული ოცნების“ ნაცვლად მივიღებთ კრავის ქურქში გადაცმულ ნაციონალურ მოძრაობას.

# ირაკლი სესიაშვილი: „ქართული ოცნება“ მეჭიაურის პოზიციას ემიჯნება

– განსხვავებული აზრის ქონის მიუხედავად, პატივი უნდა ვცეთ პოლიტიკურ დისციპლინას, საერთო გადაწყვეტილებას და ქართველი ხალხის არჩევანს, – ასე ეხმაურება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ კურსთან დაკავშირებით თანაფრაქციელ თამაზ მეჭიაურის განცხადებას.

როგორც სესიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „ქართული ოცნება“ მეჭიაურის პოზიციას ემიჯნება.

**ირაკლი სესიაშვილი:**

– ამ ქვეყანას, სახელმწიფოს, ხელისუფლებას, ხალხს ერთად გვაქვს არჩევანი გაკეთებული – ეს არჩევანი არის მტკიცე და მას ვერავინ შეცვლის. ჩვენი ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია გარდაუვალია. რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ამ გზაზე ყველამ ერთხმად, ერთი პოზიციით გამოვხატოთ ჩვენი ქვეყნის არჩევანი. ამ შემთხვევაში თამაზ მეჭიაურის განცხადება, რა თქმა უნდა, სცილდება იმ პოლიტიკურ მრწამსს და არჩევანს, რაც „ქართულ ოცნებას“ ქართველ ხალხთან ერთად აქვს გაკეთებული. რა თქ მა უნდა, ჩვენ მას ვემიჯნებით.

იმის მიუხედავად, რომ ვსაუბრობთ, ეს არის მისი პირადი აზრი, მე მაინც ვიტყოდი, რომ განსხვავებული აზრის ქონის მიუხედავად, პატივი უნდა ვცეთ პოლიტიკურ დისციპლინას, საერთო გადაწყვეტილებას და ქართველი ხალხის არჩევანს და განსხვავებული აზრით კი არ უნდა გამოვჩნდეთ, არამედ პასუხიმგებლობა ავიღოთ იმაზე, სადაც უმრავლესობაა.

იგი „არაეთიკურს“ უწოდებს „რესპუბლიკელი“ დეპუტატის დავით ბერძენიშვილის შეფასებას, „ქართული ოცნების“ მეჭიაურიზაციის შესახებ. „მე ამ თემით სპეკულაციას ვხედავ. როგორც ჩანს, წინასაარჩევნოდ ჩვენი რიგებიდან გასულ პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობა აქვთ გადაწყვეტილი, ამით სურთ ზიანი მიაყენონ პოლიტიკურ ოპონენტს. ეს უკვე პოლიტიკური სპეკულირებაა. ცალკეული დეპუტატების განსხვავებული აზრი, რა თქმა უნდა, არამც და არამც არ ნიშნავს უმრავლესობის საერთო პოზიციის შერყევას.

ბერძენიშვილის საუბარი ჩასაფრებულის პოზიციიდან რეაქციას, ვიწრო პოლიტიკურ ინტერესზე მორგებულს ჰგავს. ეს მისი არჩევანია.

დეპუტატმა აქვე დასძინა, რომ არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ გაუსვამს ხაზს ქვეყნის საგარეო ვექტორის ურყევობას. „ჩვენს საარჩევნო სიაში მკაფიოდ პროდასავლური ძალები იქნებიან გაერთიანებული“, – ამბობს სესიაშვილი.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სევდია უგრეხელიძე: „ნარმანიას დააწინაურებენ“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს დეპუტატი სევდია უგრეხელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ ფრაქცია ნაციონალურმა მოძრაობამ ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. დედაქალაქის მერის საკრებულოში მისაწვევად საკრებულოს შემადგენლობის ერთი მეოთხედის, 14 დეპუტატის ხელმოწერაა საჭირო.

***– ქალბატონო სევდია, მერის ვალდებულება როგორია, რამდენ ხანში ერთხელ უნდა წარდგეს ის საკრებულოს წინაშე? როგორ რეგულირდება ეს საკითხი პროცედურულად?***

– პირველ რიგში, დედაქალაქის მერმა ბიუჯეტი უნდა წარუდგინოს საკრებულოს და მაშინ მოდის ის საკრებულოში. ასევე ისეთ შემთხვევებში, როდესაც რამე განსაკუთრებული ხდება, ამ შემთხვევაში მერს შეუძლია თვითონ გამოთქვას სურვილი და საკრებულომ მას მოუსმინოს. ამ შემთხვევაში საკრებულომ მერის ეს მოთხოვნა დღის წესრიგში უნდა შეიტანოს. ასევე აქვს უფლება საკრებულოს, რომ მან გამოთქვას სურვილი და მერი მოიწვიოს, რათა მას მოუსმინოს და კითხვები დაუსვას. მერს ამ შემთხვევაში საკრებულოს შემადგენლობის ერთი მეოთხედი იწვევს. ერთი მეოთხედი დაახლოებით 14 დეპუტატი გამოდის.

***– აგროვებთ 14 ხელმოწერას?***

– ჩვენი ინიციატივა დაკავშირებულია იმასთან, რომ არსებობს კითხვები და მათ პასუხები უნდა გაეცეს. ჩვენ იმის ილუზია კი არ გვაქვს, რომ საკრებულოს წინაშე წარდგება ნარმანია და მოინანიებს.

***– მაშინ რატომ გადაწყვიტეთ ხელმოწერების შეგროვება?***

– ეს არის პირველ რიგში ტესტი ჩვენი კოლეგებისთვის. ვის აინტერესებს, ვინ გამოთქვამს სურვილსა და ინტერესს, რომ მათაც აქვთ კითხვები. ამიტომაც დავაყენეთ ეს ინიციატივა და ვისაც სურვილი აქვს, თვითონ შემოგვიერთდება.



***– თქვენ რა კონკრეტული კითხვები გაქვთ დედაქალაქის მერთან?***

– პირველ რიგში, ჩვენი კითხვები ეხება თაბორის მთის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. რატომ გაიპარსა ასე თაბორის მთა? რატომ მოიჭრა ხეები? რატომ გაიყიდა 1 კვ მ 21 ლარად მშენებლობის უფლებით? რატომ მოხდა ტერიტორიის გაცვლა? რა მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით? რატომ დაიხარჯა საბიუჯეტო თანხები არამიზნობრივად, თუ იქ გზის გაყვანა არ მოხდებოდა? რატომ დაიხარჯა ხეების მოჭრაზე თანხა?

საინტერესოა, ამ კითხვებზე რა პასუხებს გაგვცემდა ბატონი ნარმანია. მთავარი კითხვა მაინც არის, თუ რატომ შეცვალეს გზის პროექტი და რატომ მოატყუეს თუნდაც თავიანთი თანამოაზრეები?!

***– სხვა ოპოზიცია თუ გიჭერთ მხარს?***

– იმედი მაქვს, რომ ბურჯანაძის პარტია შემოგვიერთდება, რადგან ისინი ნამდვილად, როგორც ოპოზიცია, ისე იქცევიან საკრებულოში.



ცილს ვერ დავწამებ და ვერ ვიტყვი, რომ მათთვის სულ ერთია, როგორ იქნება და მოვა თუ არა ნარმანია საკრებულოში.

***– რესპუბლიკელების პოზიცია როგორია?***

– რესპუბლიკელები, მოგეხსენებათ, რომ ოპოზიცია არ არიან, მაგრამ მათი პარტიის ლიდერმა უსუფაშვილმა მკვეთრი განცხადება გააკეთა სწორედ ნარმანიას საკრებულოში მისვლასთან დაკავშირებით და იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ მისი კოლეგები ამ განცხადებას. აქედან გამომდინარე, ხელმოწერები ალბათ მოგროვდება, თუმცა, მე ახლა არ ვაპირებ ოთახ-ოთახ ვიარო და ასე მოვაგროვო ეს ხელმოწერები.

***– ერთხელ ნარმანიამ თქვა, ისე მოაწერა რაღაც დოკუმენტს ხელი, რომ არ იცოდა, თუ რას მოაწერა. უშვებთ იგივეს ამ შემთხვევაშიც?***

– არა მგონია, რომ ასე იყოს საქმე. მეც ვასრულებდი თბილისის მერის მოვალეობას და მართლაც უამრავ დოკუმენტზეა ხელი მოსაწერი. დღეს ჩემი ყველა ხელმოწერილი დოკუმენტი პროკურატურაშია გადაგზავნილი, მაგრამ აგერ უკვე ორი წელი გადის და ჯერ არ დავუბარებივარ პროკურატურას, იმიტომ, რომ იქ ვერაფერი აღმოაჩინეს კანონდარღვევა. არსებობს ე.წ. ფაქსიმილე, რომლის გამოყენებითაც ხდება ჩვენი ხელმოწერის დასმა ჩვენივე თანამშრომლების მიერ, მაგრამ მაინც პასუხისმგებელი პირები ჩვენ ვართ. არა მგონია, ამ შემთხვევაში საქმე ამასთან გვქონდეს. პირიქით, ბატონი ნარმანია ამ საქმით შეწუხებული კი არ არის, გახარებულია და წელშია გამართული.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ასეთი საჩუქარი მას დაუფასდება. თუ ვილაც ელოდა, რომ მას განცხადებას დააწერინებდნენ გადადგომის მოთხოვნით ან საკრებულოში შეიძლება იმპიჩმენტის პროცედურა დაწყებულიყო, ეს ასე არ იქნება. მას ეს „საჩუქარი“ დაუფასდება და უკეთეს ადგილზეც გადაიყვანენ, დააწინაურებენ.

## დავით ნარმანია საკრებულოს 17 მაისს ეწვევა

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრებსა და დედაქალაქის მერს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ დავით ნარმანია თბილისის წარმომადგენლობით ორგანოს 17 მაისს ეწვევა და საზოგადოებას თაბორის მთაზე 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთის საჯარო, პირობიანი აუქციონის წესით გასხვისებასთან დაკავშირებით ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდის.

როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა განაცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე მიიღო.

# დემურ გიორხელიძე: „ლარის გამყარება პრობლემებს ვერ შეამცირებს“

## „ჩვენი ეკონომიკის მოცულობა მხოლოდ 16 მილიარდი დოლარია“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძე აფასებს.

***– ბატონო დემურ, რამდენად გაამართლა „ოცნების“ ეკონომიკურმა პოლიტიკამ?***

– ერთ მთავრობაზე საუბარი შეუძლებელია. ეს უკვე მესამე მთავრობა გახლავთ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში. ამდენად, თუ საუბარია, საუბარი შეიძლება იყოს პირველი, მეორე და მესამე პრემიერის საქმიანობაზე. თუ ბოლო პრემიერის შეფასებებს გავაკეთებთ, გიორგი კვირიკაშვილის ხედვები სწორია, მაგრამ აქ ერთი პრობლემაა.

***– რა პრობლემაა?***

– მთავრობა სწრაფ რეალიზაციას არ იწყებს ამ სწორი შეხედულებებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ეს სწორი შეხედულებები უშედეგოდ დარჩეს. ამიტომ ეს მომენტი მთავრობას გასააზრებელი აქვს – ოპერატიული ღონისძიებების გატარება.

დღეს ჩვეულებრივი მეთოდებით საქართველოში არაფრის მიღწევა არ შეიძლება! ეს არის განადგურების პირას მისული ეკონომიკა! მისი მოცულობა 16 მილიარდი ამერიკული დოლარია სულ და მისი ჩვეულებრივი, ექსტენსიური მეთოდებით ზრდა, ან თუნდაც ინტენსიური მეთოდებით, არაფერს მოგვცემს. ეს ორი ეტაპი მაინც გასავლელია, ამას დაახლოებით ექვსიდან რვა წლამდე სჭირდება, რომ შემდეგ სრულიად ახალ ეტაპზე დავიწყოთ ნელ-ნელა გადასვლა.

სწორედ იმიტომ არ არის ბევრი სამუშაო ადგილი, იმიტომ არ არის ეკონომიკის ზრდა შესამჩნევი, რომ ასეთი რეფორმები არ გატარებულა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**



***– ხელისუფლების ოპონენტებისგან გვესმის შეფასებები, რომ გაჭირვებული და უმუშევარი ადამიანი ამ ხელისუფლების პირობებში გაცილებით მეტია, ვიდრე ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში. ეთანხმებით ამ შეფასებებს?***

– ღარიბები ნაკლები ნამდვილად არ არის, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლების დროს იყო. თუმცა სხვაობა უდიდესია – სააკაშვილს საქართველოს მოსახლეობა საერთოდ არაფერში ანაღვლებდა. დღეს კი ასეთი დამოკიდებულება ნამდვილად არ არის, თუმცა შედეგები მეტია საჭირო.

***– ეკონომიკის მინისტრი ამბობს, რომ ლარის გამყარება ზაფხულის პერიოდშიც გაგრძელდება. წინ არჩევნებია და წინასაარჩევნოდ დახარჯული ფული შემდეგ ხომ არ აისახება ლარის სტაბილურობაზე?***

– აი, ახლა წმინდა პროფესიულად ვიკითხავდი: რატომ უნდა გამყარდეს ლარი?! სადამდე უნდა გამყარდეს ლარი?! რისთვის უნდა გამყარდეს ლარი?!

***– არ უნდა მყარდებოდეს?***

– რა მაკროეკონომიკური პოლიტიკა უდევს საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის პოლიტიკას, ეს ჩემთვის უცნობია! ეროვნული ბანკის დამოუკიდებელი საქმიანობა ლარის გამყარებაზე არის უაზრობა! იმიტომ, რომ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ე.წ. მონეტარული პოლიტიკა არ შეიძლება იყოს იზოლირებული და დამოუკიდებელი პოლიტიკა ხელისუფლების ერთიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკისგან.

***– არ ეთანხმებით ეროვნული ბანკის პოლიტიკას?***

– ასეთი პოლიტიკა არ არსებობს! ამიტომ, რასაც ეროვნული ბანკი აკეთებს, არ არის სწორი! მთავრობის საფინანსო საბიუჯეტო პოლიტიკა არ არის სწორი, იმიტომ, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ მთავარ მიზანს.

***– და რა არის ეს მთავარი მიზანი?***

– მთავარი მიზანი არის ერთადერთი – სწრაფი ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილები! ყველაფერი უნდა ექვემდებარებოდეს ამას. გამყარდეს? რა უნდა გამყარდეს?! პროფესიული თვალსაზრისით ეს ხომ უაზრობაა?! მაშინ მოდით გავაკეთოთ ასე – 1 დოლარი ღირდეს 50 თეთრი.

***– ანუ ეს ხელოვნური პროცესია?***

– ანუ ეს არის გაუგებარი პროცესი! ის არის პროპაგანდის საგნად გადაქცეული. ეს არის უაზრობა! რა უნდა გამყარდეს, ფული არ არის ეკონომიკაში. რა გამყარებაა, როცა საკუთარი ეკონომიკა მოკვდება გამყარებული ლარის შემთხვევაში! ჩვენ გვჭირდება არა გამყარებული ლარი, არამედ მთავარ მიზანს დაფუძნებული, სტაბილური ლარი, რომელიც ირხევა თავისი წონასწორული მდგომარეობის მიმართ, მცირე ამპლიტუდით.

ეს სულ სხვა რამეა და ის სულ სხვა რამეა, რასაც გვეუბნებიან. რისი სიხარული შეიძლება იყოს. საკუთარი წარმოება მკვდარია და გამყარებული ლარი ხომ საერთოდ კისერს გამოუჭრის ბოლომდე ქართულ ეკონომიკას?! ამიტომ, უაზრობაზე ლაპარაკს ჯობია, წესიერი, თანმიმდევრული ინფორმაცია მოგვცენ უფლებამოსილმა პირებმა და ნუ ტრაბახობენ ისეთი რამით, რაც საერთოდ არ არის სატრაბახო.

***– ანუ ეს დროებითი მოვლენაა?***

– ეს არის გაუგებარი მოვლენა! ისევე, როგორც არ არსებობდა საფუძველი ლარის კურსის ისეთი სწრაფი დაცემისა, რომელიც მოხდა, ასევე არ არსებობს დღეს საფუძველი ლარის ასეთი კატასტროფულად სწრაფი ე.წ. გამყარებისა! ფულის თვისება ეს არ არის. ასე არ თამაშობს მსოფლიოში ვალუტები. შეერთებული შტატების და ევროპის ვალუტებმა რომ ის გააკეთონ, რაც საქართველოს ვალუტამ რამდენიმე თვის განმავლობაში განიცადა, ამერიკული და ევროპული ეკონომიკა სრული კრახის წინაშე დადგება.

***– მაშინ ჩვენ რატომ არ ვდგებით კრახის წინაშე?***

– იმიტომ, რომ ეს განადგურებული ეკონომიკაა. ეს კომაში მყოფი ეკონომიკაა, ამიტომ ამას ვერც გარედან დიდი კრიზისი მოახრჩობს, იმიტომ, რომ უკვე მოხრჩობილია, ვერც ეს უაზრო პოლიტიკა – ფულად-საკრედიტო, რომელიც წლებია გრძელდება, ვერაფერს უზამს, რადგან ისედაც მკვდარია ეს ეკონომიკა. ამ გზით განვითარება შეუძლებელია. თორემ მე არსად ვაპირებ წასვლას და შეგიძლიათ ეს სიტყვები გამახსენოთ! ამ გზით შედეგი მიღებული არ იქნება.

### ეკონომიკა

## სომხეთმა საქართველოსგან შესაძლოა ელექტროენერგია უფრო იაფად შეიძინოს, ვიდრე შიდა ბაზარზე

ამის შესახებ სომხურ მედიას ეკონომისტმა არტაკ მანუკიანმა განუცხადა.

მისი თქმით, თუ დღეს სომხეთში ელექტროენერგიაზე ტარიფი 1 კილოვატ საათზე 48,78 დრამია, საქართველოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 29,7 დრამს შეადგენს და სწორედ ამ ფასად ქართულ მხარეს შეუძლია ელექტროენერგიის მიწოდება დაიწყოს.



ეკონომისტის თქმით, ზამთრის პერიოდში საშუალო ტარიფი საქართველოში 33,74 დრამს შეადგენს, გაზაფხულზე კი – 21,69 დრამს, ზაფხულში ეს მაჩვენებელი 28,43 დრამია, ხოლო შემოდგომაზე – 35,18.

ექსპერტის თქმით, სომხეთს, თავის მხრივ, შეუძლია საქართველოს რუსეთიდან მიღებული ბუნებრივი გაზის ნაწილი მიაწოდოს.

– შესაძლებელია, მიწოდების სხვადასხვა სქემა მოვიფიქროთ, რომლებიც სომხურ მხარეს შესაძლებლობას მისცემს, საქართველოს გაზის არასაკმარისი მოცულობა აუნაზღაუროს, ქართული მხარე კი ამის პასუხად სომხეთს უფრო იაფფასიან ელექტროენერგიას მიაწვდის, – განაცხადა მანუკიანმა.

ექსპერტის თქმით, მსგავსი სქემების გამოყენებით სომხეთი შეძლებს ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას და მომხმარებლისთვის მისი ხელმისაწვდომობის გაზრდას.

კომერსანტ.გე

## ონლაინ-სესხების მარეგულირებელი ორგანო ეროვნული ბანკი იქნება

პროექტის თანახმად, ონლაინ-სესხებთან დაკავშირებით მარეგულირებელი ორგანო ეროვნული ბანკი იქნება.



ამის შესახებ ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გუშინ, 9 მაისს, განაცხადა.

როგორც ქუმსიშვილმა აღნიშნა, ეს არის სწორი გადაწყვეტილება. მისივე თქმით, პროექტის მიზანია მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

– ამ პროექტის მიხედვით, რასაც ვიხილავთ, მარეგულირებელი ორგანო ეროვნული ბანკი უნდა იყოს. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს არის სწორი გადაწყვეტილება.

შინაარსი პროექტის განხილვისა არის მომხმარებელთა ინტერესების დაცვა იმიტომ, რომ დღეს, სამწუხაროდ, მოსახლეობაში ფინანსური საკითხების ცოდნა არ არის იმგვარი, რომ მათ თავიანთი თავი დამოუკიდებლად დაიცვან. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, ეს ყველაფერი იმდაგვარად იყოს დარეგულირებული, რომ მოსახლეობამ მიიღოს აღნიშნული მომსახურება, რაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ამავე დროს, მათ არ გასწიონ იმაზე მეტი რისკები, რაც ბუნებრიობას სცილდება, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

მთავრობამ ონლან-სესხებთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა დაიწყო.

ბიპიენი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა

# ქართული იდეა

ლოგოს აქვს ფარის ფორმა წრეზე მრგვალი ნაჭდევებით, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ: ზემოთა სამი — წმინდა სამებას; ქვემოთა შვიდი — შვიდ საიდუმლოს, მთლიანობაში — ათ მცნებას; ძველქართული „ქ“ აღიქმება როგორც — ჯვარი, ასევე — ხმალი; ძველქართული „ი“ — როგორც გუთანი; თავისთავად „ქ“ და „ი“ ნიშნავს — ქრისტე იესუს, ხოლო სამეფო გვირგვინი ღვთივკურთხეულ მონარქიას...

დევიზი: — „რწმენითა და სიყვარულით ღირსეული მომავლისათვის“ კი გულისხმობს ქრისტეს რწმენით და ერთმანეთის სიყვარულით ღირსეული წმინდა წინაპრების გზაზე მომავალი თაობების გაძღოლას...

№1 — გამოდის ყოველ სამშაბათს

## ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს უახლესი ისტორია ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ტკივილიანი ფურცელია ჩვენი ერის მატიანეში. საბჭოთა იმპერიისგან დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარმა ქართველობამ და მისმა ეროვნულმა მოძრაობამ დროშად წარიმძღვარა სულმნათი ილიას ამაღორძინებელი იდეოლოგია — **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“**, მაგრამ დღემდე ვერ მივაღწიეთ ჭეშმარიტ თავისუფლებასა და ნამდვილ დამოუკიდებლობას. თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ გვაკლდა სიყვარული, მაგრამ გვაკლდა ერთგულება (რაზეც მეტყველებს ეროვნული მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერის ტრაგიკული აღსასრული), არ გვაკლდა მეგობრობა, მაგრამ გვაკლდა ერთობა, არ გვაკლდა თავდადება, მაგრამ გვაკლდა აღმსარებლობა... მოკლედ, გვაკლდა ყველაზე მთავარი — **ეკლესიური ცნობიერება, ქრისტეში ერთობა.**

ჩვენი უბედურების უმთავრეს მიზეზად დღესაც რჩება ის, რომ **საქართველოს პოლიტიკური ელიტის უმრავლესობა ღვთის ნაცვლად უცხოელ პატრონებზე ამყარებს იმედს. ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებისათვის მისაღები ხდება არა ის, რაც სასარგებლოა საქართველოსთვის, არამედ ის, რასაც საქართველოსათვის „სასარგებლოდ“ უცხოეთში მიიჩნევენ**. არავინ ამბობს, რომ მსოფლიოში რეალურად არსებულ გავლენიან ძალებს ანგარიში არ გავუწიოთ, პირიქით, უნდა გავუწიოთ, ეს ბუნებრივი და აუცილებელიცაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი პოლიტიკა ავანტიურისტულ ხასიათს შეიძენდა. უბრალოდ, ქართველ პოლიტიკოსთა უდიდეს ნაწილს არ გააჩნია მყარი მსოფლმხედველობა, ეროვნული ღირსების განცდა და მუდამ სხვისი იდეოლოგიური ნასუფრალის შემყურედ რჩება. სანამ ასეთი მიდგომები იარსებებს, ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არავინ გაუწევს ანგარიშს.

პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტში 40 %-ით მოხვედრილი ნაცმოძრაობის დამნაშავე რეჟიმის თუ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს ამოფარებული ურეიტინგო პარტიების წარმომადგენელთა უმრავლერსობა არ გამოხატავს ქართველი ერის ნება-სურვილსა და ინტერესებს. **ქვეყნის ღირსეული განვითარებისათვის გადაუდებელ ამოცანად გვესახება არჩევნების გზით საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტება ახალი, გაუსვრელი სახეებით — საქმის მცოდნე ეროვნულ-ეკლესიური ცნობიერების მქონე ღირსეული მამულიშვილებით.**

გადაუდებელ ამოცანად გვესახება მედიის გათავისუფლება უზნეო და ანტიქართული თავსმოხვეული პროპაგანდისტული წნეხისაგან.

უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყნის მმართველობის იურისდიქციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ამ მიზნით, უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან და სასწრაფოდ დაიწყოს უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებები. ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე საგარეო-პოლიტიკური ვექტორი მკვეთრად არ უნდა გადაიხაროს რომელიმე სამხედრო ბლოკის მიმართულებით. მაგალითისთვის რუსეთის მოსაზღვრე ფინეთიც გამოდგება, რომელიც არ არის გაერთიანებული ნატოს სამხედრო ბლოკში, თუმცა ევროკავშირის და ყველა ევროპული სტრუქტურის წევრია, ინარჩუნებს სტაბილურ ურთიერთობას მეზობელ რუსეთთან და წარმოადგენს ეკონომიკურად წარმატებულ, განვითარებულ ქვეყანას. ასე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორია არ უნდა ვაქციოთ დესტაბილიზაციის კერად, ნატო-რუსეთის დაპირისპირების ახალ პოლიგონად და მეორე სირია-უკრაინად.

კონფლიქტების მოგვარების დარგში მომუშავე კომპეტენტურ და პატიოსან ადამიანებთან ერთად უნდა მოხდეს ოსურ და აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგის განახლებისა და შერიგების პროცესის წარმართვა. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში რეალიზებული უნდა იყოს სახალხო დიპლომატია, შერეული ოჯახები და რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიისა და ჩვენი (ქართველების, ოსების, აფხაზების და სხვ.) კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის — ილია II-ის დიდი ავტორიტეტი.

პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ეს იქნება არა ორიენტირებული, არამედ — დაბალანსებული, თვითმყოფადი ქვეყნის თვითმყოფადი პოლიტიკა. ისტორიულად სწორედ ასეთი გამოცდილებაა საქართველოსთვის ყველაზე წარმატებული და გასაზიარებელი: ავთენტური და არა — მკვეთრად გამოხატული დასავლური, აღმოსავლური თუ ჩრდილოური ორიენტაციები; არა — მკვეთრი გადახრა რომელიმე მიმართულებით, არამედ — ბუნებრივად განსაზღვრული გეოპოლიტიკური და გეოკულტურული ხიდის როლის შესრულება; არა — ადაპტირება, არამედ — თვითმყოფადობა; შემეცნება და არა — გადმოღება. სწორედ ასეთი პოლიტიკა შექმნის საუკეთესო პირობებს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, რაც უნდა წარმოადგენდეს ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს პრიორიტეტს.

სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის წინ საქართველო იყო რეგიონში ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების დელეგაციათა სამშვიდობო ფორმატში შეკრების ადგილი. თბილისის საკონფერენციო დარბაზებში ერთმანეთს ხვდებოდნენ სომხეთისა და თურქეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის დელეგაციები და ჩვენ ერთგვარ გეოპოლიტიკური და გეოკულტურული არბიტრის როლს ვასრულებდით, მაგრამ საგარეო ვექტორის მკვეთრად გადახრამ სწორედ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკარგვინა ჩვენს სახელმწიფოს. ჩვენი ამოცანა გახლავთ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი (რეგიონში გეოპოლიტიკური და გეოკულტურული მშვიდობის ხიდის) ფუნქცია დავუბრუნოთ ჩვენს ქვეყანას.

საქართველოს სახელწიფოებრივი წინსვლა დამოკიდებულია ქვეყნის იდეოლოგიისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის სწორ განსაზღვრასა და შემუშავებაზე. ცივილიზებული მსოფლიოს თვალში არაფერი ისე არ აამაღლებს ქართველი ერის ღირსებას, როგორც აწმყოში კეთილ-გონივრულად გაცოცხლებული წარსული.

უაღრესად მშვიდობიანი და ჰუმანური იდეოლოგიით ქვეყნის მართვა ნიშნავს იმას, რომ მთელი ჩვენი ყოფა გამსჭვალული და გამდიდრებული იქნება მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ტრადიციებით, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის (სახელმწიფოს ქვაკუთხედის) აღორძინებას, მრავალშვილიანობას, ერის გამრავლებას, სიყვარულითა და პატივისცემით მოპყრობას ნებისმიერი ეთნო-რელიგიური კუთვნილების მქონე ადამიანის — როგორც მოყვასის, მიმართ.

არსებობს ფასეულობები, რომელთაც ადამიანის უფლებებზე დაბლა ვერ დავაყენებთ, ესენია: ღმერთი, სამშობლო, ოჯახი, ზნეობა, ღირსება, სიწმინდეები. როდესაც ეს ფასეულობები და ფსევდოლიბერალური გაგებით ადამიანის უფლებათა განხორციელება ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, სახელმწიფო, საზოგადოება და კანონი მათ ჰარმონიულ თანაფარდობას უნდა უზრუნველჰყოფდეს. ამ კუთხით, მზად ვართ ვითანამშრომლოთ კეთილი განზრახვის მქონე ნებისმიერ უფლებადამცველთან.

დასასრულ, თუ გვსურს, რომ ჩვენი სახელმწიფო იყოს რეალურად დამოუკიდებელი, თავისი მიწა-წყლის პატრონი და გამგებელი, გავერთიანდეთ სამშობლოს საკეთილდღეოდ და გულისხმავჰყოთ ჩვენი სულიერი მამის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოწოდება: **„საქართველო კვლავაც აუცილებლად გადარჩება და გაბრწყინდება, მაგრამ ამას განახორციელებს ის თაობა, რომელიც იქნება ღვთის მცნების დამცველი და მისი ნების აღმასრულებელი, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, გავხდეთ უფლის ნების აღმასრულებელნი და დიდი საქართველოს თანაშემოქმედნი“.**

**ლევან ჩაჩუა,**
„ქართული იდეის“ თავმჯდომარე

## მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული იდეის“ მიზნები და ამოცანები:

ა) დამოუკიდებელი, სამართლებრივი და ჭეშმარიტად ეროვნული ქართული სახელმწიფოს მშენებლობა და კანონის წინაშე ნებისმიერი მოქალაქის თანასწორობა;

ბ) საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის არსებული საკონსტიტუციო შეთანხმების (კონკორდატი) საფუძველზე ეკლესიის როლის გაზრდის ხელშეწყობა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში;

გ) დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა;

დ) სამართლიანობის აღდგენა და ამ მიზნით ნაცმოძრაობის ცხრაწლიანი მმართველობის პოლიტიკური შეფასება. რეპრესირებულთა (დახოცილი, უკანონოდ დაპატიმრებული, ქონებაწართმეული და სახელმწიფოს მიერ პოლიტპატიმრებად აღიარებული პირების სრული რეაბილიტაცია;

ე) თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნა. სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა;

ვ) კეთილმეზობლური ურთიერთობა და ქმედითი თანამშრომლობა რეგიონისა თუ სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე რუსეთთან ქვეყნის დეოკუპაციის საკითხებზე პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება;

ზ) სულიერ-ზნეობრივი და ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდის მიზნით განათლების სისტემის ძირეული რეფორმირება;

თ) თანამედროვე და ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიულ პრიორიტეტად დასახვა;

ი) ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ფორმირება. ინვალიდებზე, სოციალურად დაუცველებზე და მსჯავრდებულებზე ზრუნვა. სტაჟისა და დამსახურების მიხედვით მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა;

კ) ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა და ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს შექმნა. მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა;

ლ) სოფლის შენარჩუნების (განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში) და სოფლის აღორძინების სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სუფსიდირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა, მისი რეკლამირებისა და ქვეყნის გარეთ რეალიზაციისთვის მხარდაჭერა. შიდა სამომხმარებლო ბაზარზე უცხოეთიდან იმპორტირებული (ხშირად მდარე ხარისხის) პროდუქტების ჩანაცვლება ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით;

მ) დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მხრიდან ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის სოციალური შეღავათებისა და დახმარების განსაზღვრა.

ნ) ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობისა და სულიერ-კულტურული ფასეულობების დაცვა და მოვლა-პატრონობა.



ეს ქვეყანა ჭეშმარიტებისათვის
ბრძოლის ასპარეზია.

წმ. ნიკოლოზ სერბი
(ველიმიროვიჩი)

## გილოცავთ ჩვენო გატანჯულო იპოთეკით დაზარალებულებო!

**„ქართული იდეისა“ და „სახელმწიფოსგან დაზარალებულთა სოლიდარობის“ თავდაუზოგავი ბრძოლის, პროკურატურასა და სასამართლოში ასობით შეტანილი სარჩელის შემდეგ ჩვენს იპოთეკით დაზარალეულებს პოლიცია ღია ცის ქვეშ ველარ გამოასახლებს...**

**ახლა, ბოლომდეა მისაყვანი „ქონების მართვის სახელმწიფო სააგენტო“-ს შექმნის შესახებ ჩვენი კანონპროექტის გატანაც...**

## მევანახრეობით დაზარალებულთა და მცირე მეწარმეობის აღდგენა-განვითარების ერთიანი კომპლექსური რეფორმების მეგაპროექტი

საქართველოში 2006 წლიდან გაუქმებული მცირე მეწარმეობის აღდგენა–განვითარებისა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულთა ზარალის ანაზღაურება–კომპენსაციის უმწვავესი პრობლემების წარმატებით მოგვარება შესაძლებელია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, აკადემიკოს ლეო ჩიქავას მიერ მოწონებული, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ანზორ საკანდელიძის მიერ დამუშავებულ-დაპატენტებული (საქპატენტის მოწმობა N6333) სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომით - ''საქართველოს ანტიკრიზისული 5-წლიანი კომპლექსური ეკონომიკური რეფორმების კონცეფცია-პროგრამა''

ამ პროგრამის მიხედვით მთელ საქართველოში დაიწყება ''კონცეფცია–პროგრამის'' რეალური განხორციელებისათვის აუცილებელი საქმიანობა: ადგილებზე რეალურად აღწერენ მცირე მეწარმეებსა და სახელმწიფოს მიზეზით დაზარალებულებს, გააცნობენ მათ ''კონცეფცია–პროგრამის'' ძირითად არსს, დაზარალებულებისაგან მიიღებენ ზარალის დამადასტურებელი იურიდიული საბუთების ნოტარიალურად დამოწმებულ ქსეროასლებს, მოახდენენ ოფისებში გამოცხადებული დაზარალებულების ზარალის აღრიცხვას, ინდექსაციას, ინვენტარიზაციას, გაგზავნას ფინანსთა სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროდან ზარალის შესაბამისი სახელობითი საკომპენსაციო საგადასახადო თამასუქების მიღებას, მიღებული სახელობითი თამასუქების დარიგებას დაზარალებულებისათვის, სახელობითი საგადასახადო თამასუქების მფლობელებისათვის კონსულტაციების გაწევას, როგორ უნდა მიიღონ მაქსიმალური მოგებები თავიანთი თამასუქების გაყიდვით, ან ახალი მცირე სამრეწველო საწარმოების დაარსებით ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად.

• • •

### „ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებით აუქციონზე რეალიზაცია, როგორც კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმა, შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად“! – უზენაესი სასამართლოს განმარტება მათთვის, ვისაც ბანკი ქონებას ართმევს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განიხილა ბანკისა და მევალის ურთიერთობა და ჩათვალა, რომ ბანკის მხრიდან უძრავი ნივთის აუქციონზე იძულებით რეალიზაცია, არაკეთილსინდისიერი მოქმედებაა და განმარტება გააკეთა. სასამართლოს განმარტებაში აღნიშნულია, რომ კრედიტორს ანუ ბანკს არ შეუძლია მოვალეს უარი უთხრას ვალის გადახდაში ხელშეწყობაზე. ამასთან, სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვის დროს ბანკი ვალდებულია მოვალეს, როგორც კონტრაგენტს მოეპყროს პატივისცემით, დაიცვას მისი უფლებები და უზრუნველყოს ვალდებულების შესრულებისთვის, მისთვის ყველაზე ხელსაყრელი გარემოს შექმნა.

აღნიშნული განმარტება ძალიან მნიშვნელოვანია იპოთეკით დაზარალებულთა უფლებების დაცვის საქმეში. აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლება ემუქრება კიდევ 160 000 ოჯახს.

## ქართველებს სამშობლოს სინონიმად შემთხვევით როდი გვაქვს „ჩვენი მიწა-წყალი“

თავისუფალი აზრის სახლში საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობებზე საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პაატა გიორგაძემ ისაუბრა. მისი აზრით საქართველოსთვის ყველაზე მომგებიანი წყლის რესურსების გამოყენება. პაატა გიორგაძე დარწმუნებულია, რომ საქართველოს სასმელი და სამკურნალო წყლების რესურსების 75%-ის კაპიტალიზაცია უზრუნველყოფს ასეული მილიარდობით დოლარის ფინანსური რესურსების მოზიდვის რეალურ გარანტიებს.

თუ საქართველო შეძლებს მისი წყლის პოტენციალის სწორად გამოყენებას, შესაძლებელი გახდება თითქმის ყველა ეკონომიკური პრობლემის გადაჭრა. პაატა გიორგაძის აზრით, „სასმელი წყლის, როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლო რესურსის, გამოყენება გვაძლევს 570 მლრდ. აშშ დოლარის ექვივალენტი ფულადი რესურსების მოზიდვის რეალურ საშუალებას. ეს გამოიწვევს ისეთი პრობლემების გადაწყვეტას როგორიცაა მიგრაციის პრობლემა, დასაქმების პრობლემა, სიღარიბის პრობლემა და სხვ.“

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის“ სტრატეგიულ მიზანს შეადგენს მუნიციპალიტეტებში მაღალხარისხოვანი მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი საწარმოების შექმნა და პარტნიორ-ინვესტორის დახმარებით მზა პროდუქციის გატანა საერთაშორისო ბაზარზე. ამასთან წლიური კომერციული მოგება განისაზღვრება 12 მლრდ. აშშ $,




საიდანაც წლიურად 3 მლრდ. აშშ $ ქვეყნის ბიუჯეტში ჩაირიცხება. წყლის პროექტით გათვალისწინებულია საწარმოებში მაღალი ანაზღაურებით შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, რისთვისაც ისინი სააქციო საზოგადოების ხაზით წინასწარ კვალიფიციურ მომზადებას გაივლიან. პროექტის განხორციელება ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის სტაბილური გარანტი იქნება. (ავტორები: საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსები პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ჩხეიძე).

საქართველომ მსოფლიო ბაზარზე წყალი უნდა გაიტანოს

„ქართული წყლის“ პროექტის ავტორის, პაატა გიორგაძის აზრით, მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ერთადერთი კონკურენტუნარიანი ბუნებრივი რესურსი – სასმელი წყალია.

„საქართველოში 450 საბადოა. ჩვენს მიერ ჩატარებული მაკროეკონომიკურმა კვლევებმა ცხადჰყო, რომ საქართველოს გააჩნია კონკურენტუნარიანი, დეტერმინანტული უპირატესობის ერთადერთი რესურსული პოტენციალი - სასმელი წყლის მარაგები“, – განუცხადა პაატა გიორგაძემ რადიო-სტუდია „სპუტნიკი-საქართველოს“.

მისივე თქმით, საქართველოში არსებული ბუნებრივი სასმელი წყლის რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, მატერიალური ფასეულობა 2 ტრლ. 277მლრდ. დოლარის აქტივს შეადგენს.

ნაპოვნია კონკრეტული გზაც, თუ როგორ ავუაროთ გვერდი ბაზარზე არსებულ მონოპოლისტებს (ფრანგულ და იტალიურ კონგლომერატს, რომლებიც პლანეტის მოსახლეობის ყოველწლიურ მოთხოვნას მხოლოდ 45 დღით უზრუნველყოფენ) და როგორ გავიდეთ საერთაშორისო ბაზარზე. ეს მოდელი შეთანხმებულია საერთაშორისო საფინანსო ჯგუფებთან და ჩვენს სტრატეგიულ ინვესტორებთან. მათ დაწვრილებით შეისწავლეს „საქართველოს სასმელი წყლის ინდუსტრიის“ კონცეფცია-პროგრამა, ჩაატარეს სახელმწიფო მარაგების ფუნდამენტური კვლევები და ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში მზად არიან 3 მილიარდი დოლარის წინასწარი ინვესტირებისთვის, რათა გაიზარდოს ტვირთბრუნვის გამტარუნარიანობა და სახელმწიფო მარაგებზე არსებულ ჭაბურღილებზე აშენდეს წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხნები.

**რედაქციის წევრები**: თეა პაიჭაძე, ინგა გავაშელი, მაია ფეიქრიშვილი.

ქართული იდეა ტელ.: 224-41-40

## ფოტომატიანე




3 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საპატიმროები დავტოვეთ...
სამწუხაროდ, კვლავაც აქტუალური რჩება სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა, მაგრამ ვპირდებით ჩვენი ქვეყნის გარდამაქცევლებს, რომ არასოდეს დავიღლებით ამ ბრძოლაში!..



კაზანტიპის გარყვნილების წინააღმდეგ მსვლელობა



17 მაისი. ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დღე



ID ბარათების ალტერნატიული პირადობის მოწმობის მოთხოვნის აქციაზე



გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად



სინდისის პატიმრის კიმ დევისის სოლიდარობის აქცია

# პაატა ჯიბლაძე: „ნაციონალების მზაკვრულ გეგმებში მათი გაშლა-განფენა შედის“

## „სააკაშვილისა და ადეიშვილის ერთმანეთთან დაპირისპირება შეუძლებელია“



„ქართული ოცნებისა“ და რესპუბლიკელების კონფლიქტი უფრო გამწვავდება“

მარიამ მჭედლიშვილი

**ნაცმოძრაობის ლიდერები უპირისპირდებიან მათგან გამოყოფილ გირჩელებს, ასევე გიორგი ვაშაძეს. ექსპერტების აზრით, ეს ტენდენცია ამ პარტიის დასუსტებაზე მეტყველებს. მემარცხენე ალიანსის პოლიტიკური მდივანი პაატა ჯიბლაძე „ახალი თაობისათვის" მიცემულ ინტერვიუში აღიარებს, რომ ნაციონალური მოძრაობა დასუსტებულია, თუმცა, აღნიშნავს, რომ ეს პარტია არ იშლება, მისი წევრები კი ორგანიზაციიდან გამოსვლისას ტაქტიკური მოსაზრებებით მოქმედებენ.**

**პაატა ჯიბლაძე:**

– ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში ხდება ის მოვლენები, რომელთაც ჩვენ 2012 წლის შემოდგომიდან ვვარაუდობდით. ნაცმოძრაობაში თავი მოიყარეს პირებმა, რომლებსაც ფინანსური ინტერესები და ძალაუფლების წყურვილი აერთიანებდათ. 2012 წელს ნაცმოძრაობამ ძალაუფლება დაკარგა. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო გარკვეული პროცესები. ვერ ვიტყვი, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იშლება. ეს უფრო გაშლა-განფენაა. თავის დროზე გარკვეული პროცესები განვითარდა მოქალაქეთა კავშირში. მაშინ ეს ორგანიზაცია დაიყო სხვადასხვა ჯგუფად. მათ შორის იყვნენ სააკაშვილისა და ჟვანიას პოლიტიკური ჯგუფები.

***– რისთვის სჭირდება ნაცმოძრაობას გაშლა?***

– მზაკვრული გეგმებისთვის. ესაა ტაქტიკური სვლები. გიორგი ვაშაძემ თქვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში 28 აპრილს განაცხადა, რომ პარტიას არ ტოვებს არც არჩევნებამდე და არც არჩევნების შემდეგ. ერთ კვირაში ამის საპირისპირო გადაწყვეტილება მიიღო.

***– იქნებ ასე პარტიაში უთანხმოების გამო მოიქცა?***

– ეს ხომ ჩვეულებრივი პარტია არაა! ეს ხალხი ერთმანეთთან დანაშაულებებით არის შეკრული. დარწმუნებული ვარ, რომ ვაშაძემ ეს ტაქტიკური მოსაზრებებით გააკეთა. ვაშაძე ადეიშვილის კლანის წევრია და დამოუკიდებლად ვერ იმოძრავებს და ვერ იმოქმედებს.

***– ანუ სააკაშვილსა და ადეიშვილს შორის დაპირისპირებისაც არ გჯერათ?***

– ამაზე ინფორმაცია მსმენია. ვფიქრობ, რომ ეს ჭორია. ოფიციალურადაც რომ გამოაცხადონ ამის შესახებ, მაინც ძნელი დასაჯერებელი იქნება. სააკაშვილი და ადეიშვილი ისე არიან ერთმანეთთან შეზრდილი და გადახლართული, რომ ერთმანეთს ვერ დასცილდებიან, რაც უნდა არ მოსწონდეთ ერთმანეთი. ეგ კი არა, მათთან შეზრდილი არიან ციხეში მყოფი მერაბიშვილი და უგულავა.

სააკაშვილ-ადეიშვილს საქართველოდან ნაძარცვი დიდძალი თანხა აქვთ გატანილი. მათ აქვთ მზაკვრული გეგმები, რისთვისაც სჭირდებათ თანამზრახველების გაშლა და განფენა. ამასთან, მათ აღარ აქვთ სურვილი, დააფინანსონ ხორცმეტები. ეს ის ოდიოზური და მობეზრებული ნაციონალები არიან, რომლებსაც ხალხი დასანახად ვერ იტანს. ასეთ აგრესიულებს ისინი ჩამოიშორებენ. გირჩისა და ვაშაძის გამოყოფა კი გარკვეულ გეგმებს უკავშირდება.

***– რომელ გეგმებს?***

– საპროტესტო მოძრაობის აგორებას, არეულობის მცდელობებს. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ნაციონალურმა მოძრაობამ, მისმა განაყოფებმა და მისმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა. გარდა ამისა, ამაში უნდა ჩართონ ნაცმოძრაობის სატელიტი პოლიტიკოსები და პარტიები. მაგალითად, ნათელაშვილი, დავითაია, ხარატიშვილი.

***– ნაციონალები მაიდნის მოწყობაზე ისევ ფიქრობენ?***

– საქმეც ეგაა, რომ მაიდნისა და რევოლუციის მოწყობა მარტო ფიქრები და სურვილებია. ნაციონალებზეა ნათქვამი, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. მათ ჰყავთ პატრონები. მათთვის საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ნაცმოძრაობა აქტიურია, რომ ერთის მაგივრად ქუჩაში რამდენიმე პარტია გამოდის. რისი მაქნისია სინამდვილეში ნაცმოძრაობა, მათ ბოლო აქციაზე ვნახეთ, როცა დაახლოებით 150 კაცი ძლივს მოაგროვეს. თუ რაიმე სერიოზული და ანტისახელმწიფოებრივი წამოიწყეს, მათ საკადრისი მიეზღვებათ.

***– ვინ მიუზღავს საკადრისს?***

– საზოგადოება. თუ ნაციონალებმა შეტევა დაიწყეს და გადატრიალება მოინდომეს, არც ჩვენ, მემარცხენე ალიანსი გავჩერდებით და მათ შევეწინააღმდეგებით. ხალხს არ დავიწყებია ნაციონალების დროს დაკარგული ტერიტორიები, დახოცილი ახალგაზრდები, ნაწამები და ქონებაჩამორთმეული მოქალაქეები. საუბედუროდ, „ქართულმა ოცნებამ“ ამაზე ნაცმოძრაობას პასუხი არ მოსთხოვა. ამიტომაა, ამდენს რომ ბედავენ.

***– ისევ გამწვავდა ურთიერთობა მმართველ პარტიასა და რესპუბლიკურ პარტიას შორის, რომლის წევრებიც ხელისუფლებაში არიან წარმოდგენილი. ამჯერად უთანხმოება გამოიწვია აშშ-საქართველოს ერთობლივმა წვრთნებმა..***

– ეს გასაკვირი არაა. ულტრალიბერალური იდეოლოგიის რესპუბლიკელების შეხედულებები განსხვავდება „ქართული ოცნების“ წევრების მოსაზრებებისგან. მაგალითად, რესპუბლიკელებს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ, თუ კაცი კაცზე დაქორწინდება, ქალი კი – ქალზე. ისინი ამას არც მალავენ. „ქართულ ოცნებაში“ ზოგს მიაჩნია, რომ იმ დროს, როცა ახლო აღმოსავლეთში და არა მარტო იქ, უკიდურესად დაძაბული და საომარი ვითარებაა, სიფრთხილეა საჭირო და საქართველოს ტერიტორია არ უნდა გამოვაყენებინოთ არავის თავისი ინტერესებისათვის. ჩვენ საქართველოს ინტერესები უნდა დავიცვათ.

რესპუბლიკური პარტია, როგორც ჩანს, ასე არ ფიქრობს. რომ არა ბიძინა ივანიშვილი, რესპუბლიკელები ვერ ეღირსებოდნენ პარლამენტს და მინისტრების პოსტებს. ახლა ისინი ოპოზიციაში ჩაუდგნენ „ქართულ ოცნებას“. ისე, კარგია, რომ კოალიცია დაიშალა. ყველა პარტია წარმოაჩენს თავის ნამდვილ სახეს. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებამდე „ქართულ ოცნებასა“ და რესპუბლიკურ პარტიას შორის ურთიერთობა უფრო გამწვავდება და ხალხი დიდი სკანდალების მოწმეც გახდება.

# მანანა კობახიძე: „ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით გუნდი ერთიანია“



– ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით გუნდი ერთიანია, მეჭიაურის განცხადება კი, ერთი დეპუტატის პოზიციად უნდა იყოს განხილული, სჯობს ყველა ლიდერმა საკუთარ პარტიაში განიხილოს, ვინ დატოვოს პარტიაში და ვინ გაუშვას, – ასე ეხმაურება პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე „რესპუბლიკელი“ დეპუტატის დავით ბერძენიშვილის რჩევას გიორგი კვირიკაშვილისადმი, თამაზ მეჭიაურის „ქართული ოცნებიდან“ გარიცხვის შესახებ.

**მანანა კობახიძე:**

– რა თქმა უნდა, პრემიერს თავისი დამოკიდებულება აქვს პარტიის ამა თუ იმ წევრის მიმართ. მან დღეს ძალიან მკაფიო განცხადება გააკეთა – თამაზ მეჭიაურის განცხადებები უარყოფითად შეაფასა, გაემიჯნა მას და ხაზი გაუსვა, რომ რასაც მეჭიაური ამბობს, არ არის მთავრობისა და გუნდის ხედვა. რაც შეეხება დანარჩენს, დავით ბერძენიშვილმა საკუთარი პარტიის წევრების საკითხი უნდა გადაწყვიტოს.

მისი თქმით, საქართველოს ნატოში ინტეგრაცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა და ამ მიმართულებით გუნდი ერთიანია, თამაზ მეჭიაურის განცხადება კი, ერთი კონკრეტული დეპუტატის ინდივიდუალურ პოზიციად უნდა იყოს განხილული.

– რა თქმა უნდა, არ არის სასურველი, არ არის სახარბიელო, არ არის კარგი, როდესაც კონკრეტული დეპუტატის განცხადების შემდეგ ჩვენ გვიწევს კომენტარების კეთება და კიდევ ერთხელ ხაზგასმა იმისა, რაც ნამდვილად გადაწყვეტილია, რაც არის ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე და რაც არის მართლა მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ჩვენთვის. ამიტომ თემის ზედმეტად აჟიტირება საქმეს არ წაადგება.

ჩვენ მეჭიაურის განცხადება უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი, ინდივიდუალური დეპუტატის განცხადება, ისევე, როგორც თავის დროზე იყო გოგი თოფაძის განცხადება, – ამბობს მანანა კობახიძე.

**ინტერპრესნიუსი**

# გია ვოლსკი: „ნატო-შიც ესმით, რომ ალიანსის წევრობა „დღეს და ახლავე“ დამაზიანებელია“



– ალიანსშიც ესმით, რომ ნატო-ს წევრობა „დღეს და ახლავე“ დამაზიანებელია, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი სოციალურ ქსელ Facebook-ში, საკუთარ გვერდზე წერს.

ვოლსკი ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის საკითხზე პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებულ განსხვავებულ მოსაზრებებს ეხმაურება და მათ სამ კატეგორიად ჰყოფს.

**გია ვოლსკი:**

– ნატო ჩვენი მიზანია, მაგრამ ამ თემით სპეკულირება პრევალირებს პრაგმატულ პოლიტიკურ სტრატეგიაზე. ერთი მხრივ, „ჩხავანა კატების“ პოზიცია – გვინდა ნატო და არიქა, შევედით (შემოგვიშვით) და ვაჩვენებთ რუსეთს სეირსო. არადა ნატო-ს წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არავისთან ომის მიზანი არ გვამოძრავებსო, არაო!

მეორე მხრივ „ვითომ გულწრფელების“ დაჩემება – არ გვიღებენ და აღარც რომ ვეშვებითო! მაშ საითაო აღარ ამბობენ, მინიშნებით – ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდესო და იქვე რუსეთისკენ იხედებიან. ამასაც ბოლომდე ვერ ამბობენ, ოკუპანტია მაინც!

მესამე მხრივ, „პრაგმატები“ და მათთან ერთად თავად ნატო – ვთანამშრომლობთ უსაფრთხოებისათვის და სტანდარტების დაახლოებისათვის, უკეთესი გარემოების მოლოდინში, სტრატეგიულ რეჟიმში, ქვეყანაში სტაბილურობისათვის, მათაც ესმით, რომ ტერიტორიები ოკუპირებულია, იქ რუსული ბაზებია, საომარი მოქმედებები დაუშვებელია, ნატო-ს წევრობა „დღეს და ახლავე“ დამაზიანებელია, მოლაპარაკებები აუცილებელი და მიზანიც მიღწევადია, ფაციფუცის გარეშე! ყველაზე რთული, მაგრამ სახელმწიფოებრივი მესამე პოზიციის რეალიზებაა, პირველი ორი უპერსპექტივო პოპულიზმია, ვფიქრობ, უკიდურესად დამაზიანებელიც.

**ინტერპრესნიუსი**

# გლდანში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გლდანში საკუთარ სახლში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე დაწყებულია გამოძიება 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცმა თავი მოიკლა.

## კონფლიქტები

### საკორინთლოს განაპირას ე.წ. მესაზღვრეებმა კიდევ ერთი ადგილობრივი დააკავეს



კასპის რაიონში, ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ საკორინთლოს განაპირას ე.წ. მესაზღვრეებმა კიდევ ერთი ადგილობრივი დააკავეს.

თვითმხილველების განცხადებით, მიხეილ გახელაძე საკუთარ მიწის ნაკვეთში მუშაობდა, როდესაც შეიარაღებული ფორმიანები გამოჩნდნენ, გადმოვიდნენ ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, გახელაძე დააკავეს და ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს.

ჯერჯერობით დაკავებულის ოჯახს არავინ დაკავშირებია, შესაბამისად, მიხეილ გახელაძის ადგილსამყოფელი დაუზუსტებელია.

**ინტერპრესნიუსი**

### ზარდიაანთკარის განაპირას შეიარაღებულმა ფორმიანებმა სამი ადამიანი დააკავეს



ოკუპირებული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე სოფელ ზარდიაანთკარის განაპირას შეიარაღებულმა ფორმიანებმა სამი ადამიანი დააკავეს. დაკავებულთაგან ორი ადგილობრივი მცხოვრებია – 21 წლის ალექსი ბოლოთაშვილი და 50 წლის დავით თაზიაშვილი. მესამე კი, სატვირთო ავტომანქანის მძღოლია, სავარაუდოდ, გვარად ქერდიყოშვილი, რომელმაც სოფელ ზარდიაანთკარში სამშენებლო ქვიშა აიტანა.

სოფლის განაპირას საცხოვრებელი სახლის მშენებლობა მიმდინარეობს, სადაც ბოლოთაშვილი და თაზიაშვილი მუშაობდნენ. შესაბამისად, სწორედ ამ ტერიტორიაზე გამოჩნდნენ ე.წ. მესაზღვრეები და როგორც ადგილობრივები, ასევე ავტომანქანის მძღოლიც დააკავეს.

ავტომანქანის მძღოლის გარდა, რუსული საჯარისო დანაყოფის წარმომადგენლებმა სატვირთო ავტომანქანაც წაიღეს. ჯერჯერობით დაკავებულების ადგილსამყოფელი დაზუსტებული არ არის.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# გერმანელებმა ნაციზმისგან გათავისუფლების 71-ე წლისთავი აღნიშნეს




დემოკრატიული სამყაროს დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას 8 მაისს აღნიშნავს. ომში დამარცხებული გერმანია 8 მაისს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად დღესასწაულობს.

გერმანელებისთვის ეს თარიღი უფრო ნაცისტური დიქტატურისგან გათავისუფლების დღეა.

– გერმანიამ არა მხოლოდ ომი წააგო. ჩვენ მორალურადაც გავნადგურდით, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ფიზიკური მარცხი, – წერს გერმანელი მწერალი ჰაინრიჰ ბიოლი.

ნაცისტებმა გერმანიაში ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარეს. პოლიციური ტერორი და ისტერიული რასისტული პროპაგანდა ამ რეჟიმის წინააღმდეგ ლეგალურ ბრძოლას გამორიცხავდა. მიუხედავად ამისა, ასეთ პირობებშიც აღმოჩნდნენ გმირები, რომლებიც ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ გამოვიდნენ.

ანტიფაშისტურ მოძრაობაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი პოლკოვნიკ შტაუფენბერგისა და მისი მეგობრების სახელები, რომლებმაც ჰიტლერზე თავდასხმა მოაწყვეს (ოპერაცია ვალკირია). აქციამ შედეგი არ გამოიღო. შტაუფენბერგი და მისი თანამოაზრეები დაიღუპნენ. ისინი სიკვდილს თავაწეულები შეხვდნენ:

– სიკვდილი ნაციზმს! სიკვდილი ბოლშევიზმს! გაუმარჯოს თავისუფალ გერმანიას!

წელს, 8 მაისს შტაუფენბერგი და მისი თანამოაზრეები კვლავ მოიგონეს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა თავის გამოსვლაში ამ ხალხის ვაჟკაცობას კუთვნილი მიუზღო:

– გერმანია ფერფლისაგან აღდგა და დემოკრატიულ, განვითარებულ სახელმწიფოდ გადაიქცა. ამის ფუნდამენტი მათ ჩაყარეს, ვინც ჰიტლერზე თავდასხმა მოაწყო.

შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ ყველა პოლიტიკოსის როლი მისი მოღვაწეობის შედეგებით განისაზღვრება. ჰიტლერის მოღვაწეობის შედეგი იყო ის, რომ 1945 წელს გერმანია არ არსებობდა. დასავლეთ გერმანიაში იყო ორი საოკუპაციო ზონა, ინგლისური და ამერიკული (ამიტომაც დასავლეთ გერმანიას ბიზონიას უწოდებდნენ), აღმოსავლეთ გერმანიაში კი რუსული საოკუპაციო ზონა დაარსდა.

– დემოკრატიულმა სამყარომ, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მოგვცეს შანსი, რათა ახალი, დემოკრატიული, ძლიერი გერმანია შექმნილიყო. გერმანიის დასავლეთ ნაწილში ასეთი სახელმწიფოს აშენება მოხერხდა, – წერს გენერალი რაინჰარდ გელენი.

კანონზომიერია, რომ სწორედ დასავლეთ გერმანიამ შეიერთა აღმოსავლეთი, ე.წ. გდრ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), რაც სინამდვილეში საბჭოთა საოკუპაციო ზონას წარმოადგენდა. გერმანია გაერთიანდა, რაც იმ პროცესის ლოგიკური დასრულებაა, რომელიც 1945 წელს ნაციზმის განადგურების შედეგად დაიწყო.

– 1945 წლის 8 მაისი რომ არა, დღეს თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი, დემოკრატიული გერმანია არ იარსებებდა, – განაცხადა შტაინმაიერმა.

# რესპუბლიკური პარტიის ლიდერები ტრამპს მხარს არ უჭერენ

აშშ-ს წარმომადგენლობითი პალატის ხელმძღვანელმა და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პოლ რაიანმა განაცხადა, რომ ტრამპის მხარდასაჭერად მზად არ არის. ტრამპის წინააღმდეგ გამოვიდნენ ჯორჯ ბუში-უფროსი და ჯორჯ ბუში-უმცროსი.




თავად ტრამპმა აღიარა, რომ რესპუბლიკურ პარტიაში მის მიმართ არაერთგვაროვანი განწყობაა.

– პარტიის კონსერვატორული ფრთა მხარს არ მიჭერს, – თქვა ტრამპმა.

მილიარდერმა ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელი არაა, პარტიას ერთიანი პოზიცია ჰქონდეს.

– სულაც არ მაღელვებს, რომ რესპუბლიკელების კონსერვატორულ ფრთას არ მოვწონვარ. მთავარია, რომ ხალხი მემხრობა. ამიტომაც პრეზიდენტი გავხდები, – თქვა ტრამპმა.

# პოროშენკო: „რუსები უკრაინელების გარეშე მეორე მსოფლიო ომში ვერ გაიმარჯვებდნენ“

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს შეხვდა.

პრეზიდენტთან მიწვეულნი იყვნენ ისინი, ვინც წითელი არმიის რიგებში იბრძოდა, ასევე ისინიც, ვინც უკრაინის აჯანყებულთა არმიაში (უპა) იმყოფებოდნენ და როგორც ჰიტლერული მესამე რაიხის, ასევე საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე უკრაინელი მეომრები, რომლებიც დონბასში თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ.

– უკრაინამ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ აგრესორის შეჩერება შეუძლია, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ უკრაინელები არა მხოლოდ წითელი არმიისა და უპას, არამედ ინგლისის, აშშ-ს, კანადის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაშიც იყვნენ. ბევრი მათგანი ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. პოროშენკომ თქვა, რომ წითელ არმიაში მობილიზებული უკრაინელებიდან დაიღუპა 3 მილიონი მეომარი. უპას დაღუპულ მებრძოლთა ზუსტი ციფრი არ არსებობს.

– სადაც უნდა ემსახურათ უკრაინელებს, საბჭოთა არმიაში, უპაში, ინგლისისა თუ აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში, მათ საარაკო გმირობა გამოავლინეს, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ამისი დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტებიც მოიყვანა. სწორედ უკრაინელებმა გაათავისუფლეს ოსვენციმი, ბანდერელმა პარტიზანებმა განგმირეს ცნობილი ჰიტლერელი ჯალათი ლუცე და ა.შ.

– რუსეთი უკრაინელების გარეშე მეორე მსოფლიო ომში ვერ გაიმარჯვებდა, – განაცხადა პოროშენკომ.



9 მაისი უკრაინამ ოფიციალურად აღნიშნა. მიუხედავად ამისა, ამ დღეს ტრადიციული პროვოკაციები მაინც მოხდა. კიევში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ვეტერანებსა და უკრაინელ ნაციონალისტებს შორის. ნაციონალისტებმა ცემა-ტყეპით გააძევეს კომუნისტები, რომლებიც დიდების სკვერში სტალინის პორტრეტებითა და წითელი დროშებით გამოცხადდნენ.

შეტაკება პატრიოტებსა და პრორუსულ აქტივისტებს შორის მოხდა ხარკოვშიც, სადაც კომუნისტები, ასევე იძულებულნი გახდნენ, საზეიმო ღონისძიება შეეწყვიტათ. ოდესაში 1.000-მდე აქტივისტმა, უმეტეს წილად ვეტერანმა, უცნობი მეზღვაურის ძეგლთან მოიყარა თავი. მათ გაშალეს წითელი დროშა და სკანდირებდნენ:

– დონბასო, ოდესა შენთანაა!

ამის შემდეგ შეკრებილებთან უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები მივიდნენ. პრორუსული აქტივისტები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

# 9 მაისი მოსკოვში



რუსეთის დედაქალაქში 9 მაისი აღნიშნეს. ჩატარდა სამხედრო პარადი. მასში 10.000-მდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. პარადს რუსეთის სახმელეთო ძალების სარდალი ოლეგ სალიუკოვი მეთაურობდა.

პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტრიბუნაზე იდგა. მან შეკრებილთ სიტყვით მიმართა.

– მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთმა კაცობრიობა ფაშიზმისაგან იხსნა, – თქვა პუტინმა.

პარადს უამრავი ხალხი დაესწრო. უმრავლესობას სტალინის პორტრეტები და წითელი დროშები მოჰქონდა.

– წითელი დროშა გამარჯვების დროშაა! სტალინი კი გამარჯვებული მხედართმთავარია, – სკანდირებდნენ ისინი.

# პარტიზანული აქცია გროზნოში

9 მაისი გროზნოში ჩეჩენი პარტიზანების აქციით აღინიშნა. მათი ჯგუფი თავს დაესხა გროზნოს გარეუბანში მდებარე საკონტროლო-გამშვებ პუნქტს.



პოსტზე ბაშკირეთიდან ჩამოსული პოლიციელები იდგნენ.

ატეხილი სროლის შედეგად დაიღუპა 6 პოლიციელი და 1 ჩეჩენი პარტიზანი. კიდევ 3 პოლიციელი მძიმედაა დაჭრილი. ისინი საავადმყოფოში მოათავსეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# სამტრედიამ და დილამ ევროსაგზური დაიბევეს, ბრძოლა გადარჩენისთვის გრძელდება



გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**ტორპედო – საპოვნელა 4:1**

**ქუთაისი.** რამაზ შენგელია

1:0 მირცხულავა (55), 2:0 ნერგაძე (59), 3:0 კვარაცხელია (67), 3:1 ბუხაიძე (90), 4:1 შინდაგორიძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ადამაძე (ფანცხავა 20), მირცხულავა, ნერგაძე, მამასახლისი, ტუღუში, საღრიშვილი (შინდაგორიძე 34), კლიმიაშვილი, ბაბუნაშვილი, კუხიანიძე, კაპანაძე (კვარაცხელია 62)

**საპოვნელა:** სომხიშვილი, ქათამაძე, გულუა (ბანძელაძე 19), ბუხაიძე, ტყეშელაშვილი, ბერუაშვილი, შარიქაძე, ნარიმანიძე, ენდელაძე, ოდიკაძე, მაკარიძე (ბიბილეიშვილი 50)

იმერული კლუბების დაპირისპირებას წინ ბევრი მითქმა-მოთქმა უსწრებდა. ლაპარაკობდნენ მათ შორის შესაძლო გარიგებაზე, თითქოსდა უმოტივაციო ტორპედო უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე მდგომ საპოვნელას შეღავათს გაუწევდა, მაგრამ ასე არ მოხდა და რიონისპირელებმა სამართლიანი თამაშის წესებს არ უღალატეს.

პირველ ტაიმში მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მიუხედავად, თერჯოლელები კარგად იცავდნენ თავს. საპოვნელას კართან რეალური საგოლე მომენტი რასაც ჰქვია, ერთადერთხელ შეიქმნა – 42-ე წუთზე გიორგი კუხიანიძე ტექნიკურად ურტყამდა, მაგრამ გიორგი სომხიშვილი უნაკლოდ გაისარჯა.

შესვენების შემდეგ პირველი ხიფათი ტორპედოელთა კართან შეიქმნა, ოღონდ გიორგი ბუხაიძის გადაცემის შემდეგ გიორგი მაკარიძეს უმტყუნა მიზანმა. ქუთაისელებმა კი თანდათან გააძლიერეს ზეწოლა მეტოქეზე.

55-ე წუთზე ირაკლი კლიმიაშვილმა მარცხნიდან ჩააწოდა კუთხური საპოვნელას საჯარიმოში და ბაქარ მირცხულავამ მოხდენილი თავურით ანგარიში გახსნა. ოთხ წუთში კლიმიაშვილმა ერთხელაც მოჭრა კუთხურიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში და ამჯერად მასპინძელთა მეორე ცენტრალურმა მცველმა, გიორგი ნერგაძემ დალაშქრა თავურით თერჯოლელთა კარი. ამის შემდეგ შოთა ბაბუნაშვილის გადაცემით შეცვლაზე გამოსული ვახტანგ კვარაცხელია გავიდა მეკარესთან პირისპირ და ანგარიში 3:0 გახდა.

სამწუხაროდ, კვარაცხელიას თამაში აღარ ჩაუმთავრებია: ქუთაისელთა შემტევმა ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა, რადგან ტორპედოელებს ამოწურული ჰქონდათ შეცვლების ლიმიტი, ისინი კაცნაკლულნი დარჩნენ მოედანზე.

შეხვედრის მიწურულში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს. სტუმართაგან თავი გიორგი ბუხაიძემ გამოიჩინა. მის გოლს კი ნახევარ წუთში შინდაგორიძემ უპასუხა.

**დილა – საბურთალო 2:1**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 მაშუკოვი (45), 2:0 მარცვალაძე (69), 2:1 ფანცულაია (73)

**დილა:** ლეგაშვილი, ღონღაძე, ქარქუზაშვილი, კვირკველია, სამხარაძე, ფალავანდიშვილი, ნონიკაშვილი, თექთურმანიძე (მოდებაძე 75), ძარია, მაშუკოვი (საბაძე 61), მარცვალაძე (ბაგაევი 90)

საბურთალო: გოშაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, მამუჩაშვილი, ხარაიშვილი, ელვინ ტერა (გვარაძე 87), ალთუნაშვილი (ცაცკრიალაშვილი 74), კოხრეიძე, სოფრომაძე, რუხაძე (ბიძინაშვილი 74), ფანცულაია

ტაიმის უკანასკნელ წუთზე გორელები დაწინაურდნენ: მასპინძლებმა ჯარიმა დაარტყეს, ბურთი მეკარის გავლით ხარიხას მოხვდა და იქვე დავარდა, ყველას კი, ისლამ მაშუკოვმა დაასწრო და თავით ანგარიშიც გახსნა.

მეორე ტაიმის შუაში დილას ფეხბურთელებმა კვლავ ჯარიმის შესრულების უფლება მოიპოვეს, რომლის დარტყმაც ამჯერად ოთარ მარცვალაძემ ითავა. ბურთი კვლავ ხარიხას მოხვდა და მიწაზე დაეშვა, ფეხბურთელებმა განაგრძეს თამაში, თუმცა მატჩის მთავარმა არბიტრმა ჯენერი ხორავამ ცენტრისკენ გაიშვირა ხელი... რამდენიმე წუთის განმავლობაში საბურთალოს ფეხბურთელები მსაჯთან არკვევდნენ, რომ ბურთს ხაზი არ გადაუკვეთავს, მაგრამ...

თბილისელებმა მალევე ანგარიშის მინიმუმამდე შემცირება მოახერხეს: გიორგი ხარაიშვილმა გამოზომილი პასი გიორგი ფანცულაიას გაუკეთა, რომელმაც ბურთი გაისწორა და ტექნიკური დარტყმით ლეგაშვილი უშანსოდ დატოვა, 2:1.

მატჩის დასრულებამდე 20 წუთი იყო დარჩენილი, ამ დროის განმავლობაში საბურთალომ შეუტია, დილა კი მხოლოდ იმ 3 ქულას იცავდა, რომელმაც ევროთასებზე ვადაზე ადრე გაიყვანა.

**ცხინვალი – შუქურა 5:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

1:0 ისიანი (20), 2:0 კაკუბავა (30), 3:0, 4:0 ივანიშვილი (67პ, 80), 5:0 გაბრიჩიძე (90)

**ცხინვალი:** ნადირაძე, ბეჭვაია, მაისაშვილი, კაკუბავა, ჯაფარიძე, ქარდავა, გორგიაშვილი (85 გაბრიჩიძე), ზვიად ლობჟანიძე, ქოჩლაძე (ბურძენაძე 75), ივანიშვილი, ისიანი (ლექვთაძე 59)

**შუქურა:** ჯიოევი, კომახიძე, მალანია (ბრაჭული 46), აფაქიძე, ჩალაძე, პუკანიჩი (გეწაძე 57), თარხნიშვილი, მოსიაშვილი, ურიდია, დოლიძე (ჭანუყვაძე 81), ე.ლობჟანიძე

როგორც იქნა, მეორე წრეში გაიბრწყინა ცხინვალმა, მაგრამ უკვე ნაგვიანებია. გუნდმა უკვე დაკარგა ევროთასებზე გასვლის შანსი.

**კოლხეთი – სამტრედია 0:3**

**ფოთი.** პარკი არენა

0:1, 0:2 დათუნაიშვილი (50, 73), 0:3 ზივზივაძე (87).

სამქულიანი გამოდგა სამტრედიელთა სტუმრობა ფოთში და იმერული კლუბი 21-წლიანი პაუზის შემდეგ ევროთასებზე ითამაშებს.

ახალგაზრდა გუნდმა ეს ნამდვილად დაიმსახურა, ვნახოთ, როგორ წარმოაჩენენ თავს ევროარენაზე. ფოთში კი გიორგი დათუნაიშვილის დუბლითა და ბუდუ ზივზივაძის გოლით მოიგეს.

**ზუგდიდი – მერანი 3:0**

**ზემო ეწერი.** ცენტრალური

1:0, 2:0, 3:0 სამუშია (51პ, 90, 90).

**გაძევება:** ორბელაძე (50)

უპრინციპულესი მატჩი იყო მეგრული დერბი. ორივე გუნდს სასიცოცხლო მნიშვნელობის ქულები სჭირდებოდათ და უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს. მნიშვნელოვანი მომენტი 50-ე წუთზე მოხდა, როდესაც მოედნიდან მერანელი სერგი ორბელაძე გააძევეს და გურამ სამუშიამ ზუსტად დაჰკრა პენალტი.

მატჩის ბოლოს მერანმა გასატანად გაიწია, მაგრამ იმავე სამუშიასგან 1 წუთში 2 გოლი გაუშვა.

**დინამო (ბთ) – ლოკომოტივი 1:0**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 შონია (22)

ზღვისპირელებმა პირველ ტაიმში გატანილი ერთადერთი გოლით მოიგეს და ლოკომოტივს ელიტაში დარჩენის საქმე დროებით გადაუდეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 27 | 22 | 1 | 4 | 68-26 | 67 |
| 2.სამტრედია | 28 | 19 | 3 | 6 | 63-30 | 60 |
| 3.დილა | 28 | 18 | 5 | 5 | 46-22 | 59 |
| 4.ჩიხურა | 27 | 15 | 5 | 7 | 47-23 | 50 |
| 5.სიონი | 27 | 13 | 7 | 7 | 46-30 | 46 |
| 6.ცხინვალი | 28 | 12 | 9 | 7 | 49-33 | 45 |
| 7.ტორპედო | 28 | 12 | 6 | 10 | 43-41 | 42 |
| 8.დინამო (ბთ) | 28 | 11 | 7 | 10 | 39-31 | 40 |
| 9.საბურთალო | 28 | 11 | 6 | 11 | 46-54 | 39 |
| 10.შუქურა | 28 | 9 | 8 | 11 | 28-36 | 35 |
| 11.კოლხეთი | 28 | 7 | 6 | 15 | 20-38 | 27 |
| 12.ლოკომოტივი | 28 | 5 | 9 | 14 | 24-34 | 24 |
| 13.გურია | 27 | 5 | 9 | 13 | 25-44 | 24 |
| 14.ზუგდიდი | 28 | 4 | 8 | 16 | 28-56 | 20 |
| 15.მერანი | 28 | 4 | 7 | 17 | 25-60 | 19 |
| 16.საპოვნელა | 28 | 4 | 6 | 18 | 20-59 | 18 |

## ბექას გრანდ სლემი და რიოს ლიცენზია



ბაქოს გრანდ სლემზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ბრაზილიურ ტატამზე სრული შემადგენლობით გასვლა პრაქტიკულად გაინაღდა. 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე ბექა ღვინიაშვილმა აზერბაიჯანში 6 შეხვედრა ჩაატარა და ყველა ბრწყინვალე სტილში მოიგო. ოქროს მედალთან ერთად, ბექას 500 სარეიტინგო ქულაც ერგო, რამაც პრაქტიკულად გადაწყვიტა მისი რიოში მონაწილეობა.

არადა, ბექას ცუდი ბადე შეხვდა: 20 წლის ქართველმა ძიუდოისტმა პირველ წრეში მსოფლიოს 2014 წლის ბრინჯაოს პრიზიორს, არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელით მოჭიდავე მოლდოველ იგორ რემარენკოს მოუგო, თუმცა თავიდან ვაზარით ჩამორჩა.

მეორე წრეში მასპინძელთა ჯილას, მსოფლიოს 2013 წლის ჩემპიონ ელხან მამადოვს ეფექტური მოგვერდით მოუგო, მერვედფინალში ბექამ ირანელი ჯავად მაჰჯოუბი დასცა ვაზარიზე და იქვე შებოჭა. შედარებით „გაუჭირდა" მეოთხედფინალში გერმანელ ოლიმპიურ პრიზიორს დიმიტრი პეტერსთან, რომელსაც ვაზარიიუკოთი აკმარა. ნახევარფინალში იაპონიის ჩემპიონი აარონ ვოლფი დასცა ბეჭებზე. საჩემპიონო ბრძოლაში კი 36 წამი დასჭირდა უნგრელი მიკლოს ცირიენიჩის დასამარცხებლად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩვენები ყველა წონაში იყვნენ წარმოდგენილნი, მაგრამ მედლამდე მისვლა ღვინიაშვილის გარდა ვერავინ შეძლო. განსაკუთრებით საწყენია ევროპის ჩემპიონ ვაჟა მარგველაშვილის მარცხი და მძიმეწონოსანთან სუსტი გამოსვლა.

## აკადემია ბოლომდე იბრძვის



სუპერლიგის პლეი ოფს მიღმა დარჩენილმა გუნდებმა ლიგაში დასარჩენად საკვალიფიკაციო ტურნირში გადაინაცვლეს. რეგულარულ ჩემპიონატში დაგროვილი ქულები 5-8 ადგილებზე გასულ გუნდებს საკვალიფიკაციოში გადაჰყვათ და დებულების თანახმად ერთმანეთში 2 წრეს ითამაშებენ, რის შემდეგაც, ბოლო ადგილზე დარჩენილი გუნდი სუპერლიგას დატოვებს და მის ადგილს „ა" ლიგის გამარჯვებული კაქტუსი დაიკავებს.

საკვალიფიკაციო ტურნირის პირველ ტურში ერთმანეთს აკადემია-რუსთავი და ოლიმპი-მგზავრები შეხვდნენ.

აკადემიელები ბოლო ადგილზე არიან და 4 ქულით ჩამორჩებიან მათ წინ მყოფ ოლიმპს. ამ დეფიციტის აღმოფხვრა 6 ტურში ურთულესი იქნება. მით უფრო, რომ ოლიმპელებმა თავიანთი მატჩი მოიგეს.

აკადემიელებმა ტრავმებით დასუსტებულ რუთაველებს 101:94 მოუგეს. მერაბ ბოქოლიშვილმა გამარჯვებულებს 36 ქულით ულიდერა, აკაკი ლომოურის ანგარიშზე კი 26 ქულა და 18 მოხსნა დაგროვდა. რუსთაველებს ტრავმის გამო 2 წამყვანი მოთამაშე აკლდათ – მიხეილ ჭოჭუა და კაილ ტურპინი. მათ არყოფნაში გუნდს სერბმა ნიკოლა გაჩეშამ ულიდერა, რომელმაც მიმდინარე სუპერლიგის 2 სარეკორდო შედეგი დააფიქსირა – 43 ქულა და 28 მოხსნა.

ოლიმპმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა მგზავრებთან – 87:82 ჯერემი ბაინამმა 31 ქულა ჩააგდო, რასაც ლესლი სმიტმა – 21, ხოლო რეზო როგავამ – 19.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.მგზავრები | 29 | 14 | 152131-2233 | 43 |
| 2.რუსთავი | 29 | 14 | 152276-2222 | 43 |
| 3.ოლიმპი | 29 | 10 | 192157-2297 | 39 |
| 4.აკადემია | 29 | 6 | 232163-2490 | 35 |

## შედეგები

**8 მაისი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-საუთჰემპტონი ............ 1:2
ლივერპული-უოტფორდი ............ 2:0
სიტი-არსენალი ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 37 | 23 | 11 | 3 | 67-35 | 80 |
| 2.ტოტენჰემი | 37 | 19 | 13 | 5 | 68-30 | 70 |
| 3.არსენალი | 37 | 19 | 11 | 7 | 61-36 | 68 |
| 4.სიტი | 37 | 19 | 8 | 10 | 70-40 | 65 |
| 5.მანჩესტერი | 36 | 18 | 9 | 9 | 44-31 | 63 |
| 6.საუთჰემპტონი | 37 | 17 | 9 | 11 | 55-40 | 60 |
| 7.ვესტ ჰემი | 36 | 15 | 14 | 7 | 61-47 | 59 |
| 8.ლივერპული | 36 | 16 | 10 | 10 | 61-48 | 58 |
| 9.ჩელსი | 36 | 12 | 12 | 12 | 57-51 | 48 |
| 10.სტოკი | 37 | 13 | 9 | 15 | 39-54 | 48 |
| 11.სუონსი | 37 | 12 | 10 | 15 | 41-51 | 46 |
| 12.ევერტონი | 36 | 10 | 14 | 12 | 56-52 | 44 |
| 13.უოტფორდი | 36 | 12 | 8 | 16 | 36-44 | 44 |
| 14.კრ.პალასი | 37 | 11 | 9 | 17 | 38-47 | 42 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 10 | 12 | 15 | 33-47 | 42 |
| 16.ბორნმუთი | 37 | 11 | 9 | 17 | 44-64 | 42 |
| 17.სანდერლენდი | 36 | 8 | 11 | 17 | 43-60 | 35 |
| 18.ნიუკასლი | 37 | 8 | 10 | 19 | 39-64 | 34 |
| 19.ნორვიჩი | 36 | 8 | 7 | 21 | 35-62 | 31 |
| 20.ასტონ ვილა | 37 | 3 | 8 | 26 | 27-72 | 17 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-რაიო ............ 2:1
რეალი-ვალენსია ............ 3:2
ვილიარეალი-დეპორტივო ............ 0:2
ხეტაფე-ხიხონი ............ 1:1
ეიბარი-ბეტისი ............ 1:1
ბარსელონა-ესპანიოლი ............ 5:0
სევილია-გრანადა ............ 1:4
ლას პალმასი-ბილბაო ............ 0:0
სელტა-მალაგა ............ 1:0
ლევანტე-ატლეტიკო ............ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 37 | 28 | 4 | 5 | 109-29 | 88 |
| 2.რეალი | 37 | 27 | 6 | 4 | 108-34 | 87 |
| 3.ატლეტიკო | 37 | 27 | 4 | 6 | 61-18 | 85 |
| 4.ვილიარეალი | 37 | 18 | 10 | 9 | 44-33 | 64 |
| 5.სელტა | 37 | 17 | 9 | 11 | 51-57 | 60 |
| 6.ბილბაო | 37 | 17 | 8 | 12 | 55-44 | 59 |
| 7.სევილია | 37 | 14 | 10 | 13 | 50-47 | 52 |
| 8.მალაგა | 37 | 11 | 12 | 14 | 34-34 | 45 |
| 9.სოსიედადი | 37 | 12 | 9 | 16 | 44-48 | 45 |
| 10.ლას პალმასი | 37 | 12 | 8 | 17 | 44-49 | 44 |
| 11.ვალენსია | 37 | 11 | 11 | 15 | 46-47 | 44 |
| 12.ეიბარი | 37 | 11 | 10 | 16 | 47-57 | 43 |
| 13.დეპორტივო | 37 | 8 | 18 | 11 | 45-59 | 42 |
| 14.ბეტისი | 37 | 10 | 12 | 15 | 32-51 | 42 |
| 15.ესპანიოლი | 37 | 11 | 7 | 19 | 36-72 | 40 |
| 16.გრანადა | 37 | 10 | 9 | 18 | 46-66 | 39 |
| 17.ხეტაფე | 37 | 9 | 9 | 19 | 36-65 | 36 |
| 18.ხიხონი | 37 | 9 | 9 | 19 | 38-62 | 36 |
| 19.რაიო | 37 | 8 | 11 | 18 | 49-72 | 35 |
| 20.ლევანტე | 37 | 8 | 8 | 21 | 36-67 | 32 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალავესი-ვალიადოლიდი ............ 2:1
ალბასეტე-მალიორკა ............ 1:0
კორდობა-ხირონა ............ 1:0
ლეგანესი-ნუმანსია ............ 2:2
მირანდესი-უესკა ............ 1:0
სარაგოსა-ბილბაო ბ ............ 2:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

არმინია-უნიონი ............ 2:0
ბოხუმი-ბრაუნშვაიგი ............ 2:3
ზანდჰაუზენი-დუისბურგი ............ 2:2

*დუისბურგის მე-2 გოლი გიორგი ჭანტურიამ გაიტანა*

კაიზერი-ფიურტი ............ 3:1
მიუნხენ 1860-პადერბორნი ............ 1:0
ნიურნბერგი-ზ.პაული ............ 1:0
ლაიპციგი-კარლსრუე ............ 2:0
ფორტუნა-ფრანკფურტი ............ 1:0
ფრაიბურგი-ჰაიდენჰაიმი ............ 2:0

**იტალია. სერია ა**

რომა-კიევო ............ 3:0
სამპდორია-ჯენოა ............ 0:3
კარპი-ლაციო ............ 1:3
ფიორენტინა-პალერმო ............ 0:0
ფროზინონე-სასუოლო ............ 0:1
ატალანტა-უდინეზე ............ 1:1
ვერონა-იუვენტუსი ............ 2:1
ტორინო-ნაპოლი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 28 | 4 | 5 | 70-20 | 88 |
| 2.ნაპოლი | 37 | 24 | 7 | 6 | 76-32 | 79 |
| 3.რომა | 37 | 22 | 11 | 4 | 80-40 | 77 |
| 4.ინტერი | 37 | 20 | 7 | 10 | 49-35 | 67 |
| 5.ფიორენტინა | 37 | 17 | 10 | 10 | 56-40 | 61 |
| 6.სასუოლო | 37 | 15 | 13 | 9 | 46-39 | 58 |
| 7.მილანი | 37 | 15 | 12 | 10 | 48-40 | 57 |
| 8.ლაციო | 37 | 15 | 9 | 13 | 50-48 | 54 |
| 9.კიევო | 37 | 13 | 10 | 14 | 43-45 | 49 |
| 10.ჯენოა | 37 | 13 | 7 | 17 | 44-46 | 46 |
| 11.ტორინო | 37 | 12 | 9 | 16 | 51-53 | 45 |
| 12.ემპოლი | 37 | 11 | 10 | 16 | 38-48 | 43 |
| 13.ატალანტა | 37 | 10 | 12 | 15 | 39-46 | 42 |
| 14.ბოლონია | 37 | 11 | 8 | 18 | 33-45 | 41 |
| 15.სამპდორია | 37 | 10 | 10 | 17 | 48-56 | 40 |
| 16.უდინეზე | 37 | 10 | 9 | 18 | 34-58 | 39 |
| 17.პალერმო | 37 | 9 | 9 | 19 | 35-63 | 36 |
| 18.კარპი | 37 | 8 | 11 | 18 | 35-56 | 35 |
| 19.ფროზინონე | 37 | 8 | 7 | 22 | 35-72 | 31 |
| 20.ვერონა | 37 | 5 | 13 | 19 | 32-60 | 28 |

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ლანჩანო ............ 4:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

დენ ჰააგი-ჰერენვენი ............ 1:1
გრონინგენი-ერაკლესი ............ 2:1
გრააფსხაპი-აიაქსი ............ 1:1
ზვოლე-პსვ ............ 1:3
კამბური-ექსელსიორი ............ 0:2
როდა-ტილბურგი ............ 2:3
ტვენტე-ვისტესი ............ 2:2
უტრეხტი-ალკმაარი ............ 1:3
ფეინოორდი-ნაიმეგენი ............ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-მადეირა ............ 1:0
ნასიონალი-ბელენენსეში ............ 2:2
ვიტორია-მორეირენსე ............ 4:1
მარიტიმუ-ბენფიკა ............ 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-ურალი ............ 1:1
სპარტაკი-დინამო ............ 3:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სელტიკი-აბერდინი ............ 3:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-ლუცერნი ............ 1:2
ლუგანო-გრასჰოპერსი ............ 0:1
სიონი-იანგ ბოიზი ............ 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

მატერსბურგი-რაპიდი ............ 0:2

**ბელგია. იუპილიგა**

ანდერლეხტი-ოსტენდე ............ 2:1
გენტი-ბრიუგე ............ 1:4

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ქაისერი ............ 1:1
ტრაბზონი-რიზე ............ 6:0
მერსინი-ანთალია ............ 0:1
გალათასარაი-ბეშიქთაში ............ 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სლავია-სლოვაცკო ............ 5:1
იაბლონეცი-ტეპლიცე ............ 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ლეხი ............ 2:0
პოგონი-ზაგლებიე ............ 1:3
ლეგია-პიასტი ............ 4:0

**უკრაინა. პარი-მატჩ ლიგა**

ოლიმპიკი-სტალი ............ 0:2
კარპატი-შახტარი ............ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ოლბორგი ............ 0:2
ოდენსე-კოპენჰაგენი ............ 0:1
მიდტიულანდი-ორხუსი ............ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

იონჩოპინგი-ნორჩიოპინგი ............ 0:2
ჰელსინბორგი-მალმიო ............ 2:1
ჰეკენი-აიკი ............ 2:3

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ოდ გრელანდი-ბოდო გლიმტი ............ 2:1
ვალერენგა-სარპსბორგი ............ 3:0
ალესუნდი-სონგდალი ............ 1:4
რუსენბორგი-სტაბეკი ............ 3:1
ჰაუგესუნდი-მიოლდე ............ 3:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# წაქცევის შემდეგ მოხუც ქალს მხედველობა დაუბრუნდა




სამხრეთ ფლორიდაში მცხოვრებ 70 წლის ქალბატონს, რომელსაც ბოლო 20 წლის მანძილზე მხედველობა დაკარგული ჰქონდა, შემთხვევით წაქცევის შემდეგ, მხედველობა დაუბრუნდა.

– დილით საწოლიდან ვდგები და ვხედავ, თუ როგორ აღწევს ხეების ტოტებს შორის მზის სხივები. ეს ყოველივე ჩემთვის მეტად ამაღელვებელია, – განაცხადა მოხუცმა ქალბატონმა.

1995 წელს საავტომობილო ავარიაში მოხვედრის შემდეგ, მერი ენი ფრანკომ ხერხემლის დაზიანების გამო მხედველობა დაკარგა. ახლახან, შემთხვევით დაცემის შედეგად, პენსიონერმა კისერი დაიზიანა და ოპერაცია გაუკეთდა ხელისა და ზურგის არეში ტკივილის შესამსუბუქებლად. ოპერაციის შემდეგ კი მას მხედველობა დაუბრუნდა.

– მსგავს რამესთან შეხება აქამდე არასოდეს მქონია. შესაძლოა, დამატებითმა სისხლჩაქცევა იქონია გავლენა მხედველობის აღდგენაზე, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიაა, – აღნიშნა ნეიროქირურგმა ჯონ აფშარმა.

ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევის შედეგად მერი ენი ფრანკო დალტონიზმისგანაც განთავისუფლდა, რომელიც მას ადრეული ასაკიდან აწუხებდა.

# კიმ კარდაშიანი ქმართან ერთად კუბას ესტუმრა



რეალითი-შოუს ვარსკვლავი კიმ კარდაშიანი და მისი მეუღლე რეპერი კანიე უესტი კუბაში ჩავიდნენ. ისინი თვითმხილველებმა ჰავანის ერთ-ერთ რესტორანთან შენიშნეს.

ვარსკვლავური წყვილი კუბაში რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახის" გადაღებებზე სხვა ნათესავებთან ერთად ჩავიდა, რომელთა შორის იყვნენ ჰლოი და კორტნი კარდაშიანები.

ასევე კიმმა და უესტმა ჰავანაში თავისი პატარა გოგონაც წაიყვანეს.

# ფერმერის მიერ გადარჩენილი „ლეკვი" დათვის ბელი აღმოჩნდა



ჩინეთის დეხუნ-დაი - კაჩინის ავტონომიურ ოლქში ფერმერის მიერ გადარჩენილი „ლეკვი" დათვის ბელი აღმოჩნდა.

ჩინელმა, მისი ვინაობა არ სახელდება, პატარა ცხოველი რამდენიმე კვირის წინ ქუჩაში იპოვა. მან იფიქრა, რომ ის კუნმინური ნაგაზის ლეკვი იყო. მისი მდგომარეობა შიმშილობის გამო არცთუ სახარბიელო იყო.

ფერმერმა ცხოველი თავისთან წაიყვანა. დროთა განმავლობაში მან შენიშნა, რომ ცხოველს საკმაოდ დიდი თათები, კუდი კი თითქმის არ ჰქონდა.

ფერმერმა დახმარებისთვის სპეციალისტებს მიმართა, რომლებმაც განუცხადეს, რომ მან ჰიმალაიური დათვი გადაარჩინა, რომელიც სავარაუდოდ დაიკარგა.

ადგილობრივი ჩინოსნების თქმით, ფერმერი დათვის ბელს რომ არ დახმარებოდა, ის შეიძლება ან მოეკლათ, ან ჩუმად გასამრავლებლად გამოეყენებინათ. ამჟამად დათვის ბელი ცხოველთა თავშესაფარშია გადაყვანილი, შემდგომში მისი ველურ ბუნებაში გაშვებაა დაგეგმილი.

# მამა შვილს დარტ ვეიდერის კოსტუმში გამოეცხადა



მამაკაცმა, სახელად რობ ლოპეზმა, გადაწყვიტა, თავის ორი წლის შვილ სებასტიანს გახუმრებოდა, ამისთვის მან დარტ ვეიდერის კოსტუმი გადაიცვა და ასეთ ფორმაში მყოფმა გააღვიძა თავისი შვილი.

ვეიდერის კოსტუმში გამოწყობილმა მამამ შვილი მანათობელი ხმლით გააღვიძა, რის პასუხადაც პატარა სებასტიანმა თავისი ხმალი მოიმარჯვა და მამას შეებრძოლა.

თუმცა ბავშვს მამა ვეიდერთან ბრძოლა მალევე მობეზრდა და მას თავისი სათამაშოები აჩუქა.

# ებრაელმა ღმერთს სასამართლოში უჩივლა

ისრაელში მამაკაცმა ღმერთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ვინაიდან მიიჩნია, რომ ის „მეტისმეტად უსამართლო" იყო მის მიმართ.

სასამართლო სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ „ღმერთი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა". სა-



სამართლოში გაუჭირდათ იმის დაზუსტება, მართლაც არ გამოცხადდა საქმის მოსმენაზე ღმერთი, თუ უბრალოდ, დუმილის უფლებით ისარგებლა.

მოსარჩელემ განაცხადა, რომ, ღმერთი მის მიმართ ბოლო სამი წლის მანძილზე მეტისმეტად სასტიკი იყო, თუმცა არ დაუზუსტებია, თუ რაში მდგომარეობდა მისი უბედურება.

თავის მხრივ, მოსამართლემ ამ განცხადებას სასაცილო უწოდა და მამაკაცს ურჩია, დახმარება სხვაგან ეძებოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

# შერმადინი ისევ საუკეთესოა



გიორგი შერმადინს ესპანეთში ველარ აჩერებენ! მოგეხსენებათ, გიორგი გასული ტურის საუკეთესო მოთამაშედ იქნა დასახელებული და ქართველი ცენტრი იგივე ტიტულის მოგების ისევ უმთავრესი კანდიდატია. მართალია, მისმა ანდორამ საშინაო მატჩი თორნიკე შენგელიას ლაბორალ კუჩასთან წააგო, თუმცა შერმადინმა ზეშედეგიანობა გამოიჩინა და მთლიანი ტურის გათვალისწინებით ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი აღმოაჩნდა – 38.

შერმადინმა წინა ტურის საუკეთესოობა მარგი ქმედების 36 ერთეულით მოიგო, ახლა კი მან საკუთარი შედეგი გააუმჯობესა. მოედანზე გატარებულ 25 წუთში გიორგიმ 27 ქულა, 11 მოხსნა, 2 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა. მან 13-დან 9 ორქულიანი და 9-დან 9 საჯარიმო ჩააგდო.

სამწუხაროდ, შერმადინის დიდებული გარჯა გამარჯვებით არ დაფასდა და ანდორამ 91:99 წააგო. სტუმართა შორის არ უთამაშია შენგელიას, რომელიც ნაოპერაციევ ფეხს მკურნალობს.

12 მოგებითა და 19 მარცხით ანდორა ცხრილში მე-12 ადგილს ხუვენტუდთან იყოფს. ლაბორალ კუჩა კი 22 მოგებითა და 9 წაგებით მეოთხე ადგილზეა.

ბექა ბურჯანაძისა და მიხაელ მონაჰანის შედეგიანი თამაშის წყალობით ლაკორუნიულმა ლეიმა ბასკეტ კორუნამ სტუმრად მელილა დაძაბულ ბრძოლაში – 99:97 დაამარცხა, რითიც ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა და მოედნის უპირატესობაც მოიპოვა.

მელილამ ესპანეთის მეორე ლიგის რეგულარული ჩემპიონატი კორუნაზე 3 საფეხურით მაღლა, მეორე ადგილზე დაასრულა. მასთან ლეიმამ სერიის პირველი მატჩი 18 ქულით დათმო, თუმცა მეორეში ბოლომდე იბრძოლა და ძალიან დაძაბულ ბრძოლაში 2-ქულიანი გამარჯვების მოპოვება მოახერხა.

ქართველი კალათბურთელის დამსახურება გამარჯვებაში დიდია. ბურჯანაძემ 26 წუთში 20 ქულა, 8 მოხნა და 1 პასი მიითვალა. ბექამ 5-დან 2 ორქულიანი, 6-დან 4 სამიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. აღსანიშნავია ისიც, რომ 20 ქულიდან ბექამ 13 ბოლო მეოთხედში მიითვალა.

სერია ლა კორუნიაში ინაცვლებს, სადაც მორიგი მატჩი 13 მაისს გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მანჩესტერ იუნაიტედს რაფაელ ვარანის ყიდვა სურს




მანჩესტერ იუნაიტედი, ისევე, როგორც შარშან, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე აქტიური იქნება. მანჩესტერელებს უკვე აქვთ რამდენიმე სამიზნე, აქედან უმთავრესი მადრიდი ატლეტიკოს ფორვარდი ანტუან გრიზმანია.

მის გარდა იუნაიტედი გრიზმანის თანამემამულე რაფაელ ვარანითაც დაინტერესდა. ვარანი 2011 წლიდან რეალში თამაშობს და ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე საიმედო ცენტრალურ მცველად ითვლება. მანჩესტერ იუნაიტედში ერთ-ერთი სუსტი რგოლი დაცვაა, ამიტომ ვარანის ყიდვა მისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

ვარანის ყიდვა მიუნხენის ბაიერნსაც სურს, თუმცა თვითონ ფეხბურთელი ამბობს, რომ რეალიდან წასვლას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ფაშიზმზე გამარჯვების დღეს – 9 მაისს ვულოცავთ ჩვენს უგულითადეს მეგობრებს, ღვთიური ნიჭით დაჯილდოებულ კოლორიტულ პიროვნებებს

ნაპოლეონ მესხიასა და ნოდარ ზარანდიას

მაისის თვეში მათივე დაბადების დღეებთან დაკავშირებით. ჰაი, ჰაი, რომ მიწიერი ღმერთები ხართ ამქვეყნად!

რაფიელ გელანტია, ზურაბ ბუკია, რაჟდენ ქარდავა

# ასტროპროგნოზი
## 10 მაისისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა. დაისვენეთ თქვენთვის სასიამოვნო ადამიანების გარემოცვაში. ალკოჰოლის მიღება რეკომენდებული არ არის. **კურო** – კარგი პერიოდია ოჯახის შესაქმნელად. დღის მეორე ნახევარში საპირისპირო სქესთან ურთიერთობა კეთილისმყოფელი იქნება. **ტყუპები** – იზრდება თქვენი კომუნიკაბელობის ხარისხი. საქმიანი კონტაქტები წარმატებით დამთავრდება, თუმცა საამისოდ დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. **კირჩხიბი** – მოულოდნელი ცვლილებების გამო ბევრი საქმე გამოგიჩნდებათ. ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. **ლომი** – საკუთარი მოვალეობები დიდი პასუხისმგებლობით შეასრულეთ. შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **ქალწული** – კრიტიკული დღეა, ბევრი რამ იცვლება. თქვენს კეთილგონიერებაზე სამსახურებრივი წინსვლაა დამოკიდებული. უფროსობასთან საკუთარი პრინციპები აუცილებლად დაიცავით. **სასწორი** – ვარსკვლავების განლაგება თქვენთვის სასიკეთოა. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **მშვილდოსანი** – სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. იყავით მიზანდასახული და აქტიური. კარგი პერიოდია აგრეთვე სავაჭროდ, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით წინსვლა კარიერაში. **მშვილდოსანი** – თქვენი მომხიბვლელობა ზენიტშია. დღეს შეგიძლიათ, თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. ძალზე წაგადგებათ ფიზიკური ვარჯიში და ცურვა. **თხის რქა** – ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში დაწინაურებას ელოდეთ. **მერწყული** – შემოქმედებითი პოტენციალი საგრძნობლად აგიმაღლდებათ. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. მოთმინებით აღიჭურვეთ და საქმე ისე აკეთეთ. **თევზები** – ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. გარშემომყოფები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ბულგარეთში; 2. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 3. ბუნებრივი ნაკრძალი აჭარაში; 4. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 7. სულიერი განწმენდა; 8. გუნდური შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნობაში; 12. საკრედიტო დაწესებულება; 14. კარდინალთა საბჭო, რომელიც ირჩევს რომის პაპს; 16. ცხოველთა საჭერი მახე; 17. ბრიტანეთის ნაწილი; 19. მკბენარა მწერი; 20. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

**თარაზულად:** 5. სვანური ციხე-კოშკი; 6. ბურთის ოსტატურად ტარება ფეხბურთში, კალათბურთში; 9. იაპონური მოტოციკლეტი; 10. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 11. ყურის ანთება; 13. ცალკე მცხოვრები ოჯახი სოფლად; 15. ანგორული თხის მატყლი; 18. წნული ქოხი სამეგრელოში; 21. ფრანგული, ვაშლის ღვინო; 22. თირკმელების ანთება; 23. უძველესი ქართული სამეფო.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. კარავი; 5. სადარაჯო; 6. პიურე; 7. ინტრიგა; 8. ბაზარი; 10. ბომბი; 13. ნაფოტა; 15. ბრამსი; 16. კივი; 17. სინი; 20. ფრიალო; 21. სოფელი; 22. ლიბრეტო; 23. ტატამი.

**შვეულად:** 1. პავიანი; 2. სადარბაზო; 3. რიტორიკა; 4. კუნძული; 5. სალუტი; 9. რომანი; 11. ბოკვერი; 12. მიკადო; 14. ფარფატი; 18. ირიბი; 19. კარტი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ბალასტი; 2. ლიე; 3. სამურზაყანო; 4. ია; 5. პოია; 6. ჩუმპე; 7. ბალღუ; 8. ბრა; 9. ტირი; 10. ბაზა; 11; ლოყა; 12. გრეიპფრუტი; 13. ლირი; 14. ლიანა; 15. „რასიომონი"; 16. ანტალია; 17. დუტა; 18. ერგი; 19. ფადიშაჰი; 20. ოსკარი; 21. იო; 22. ღლაპუტა; 23. ჰოპტუ; 24. აკიდო; 25. კიი; 26. სოლ; 27. გრივნა; 28. ხურო; 29. ალ; 30. პირშუშხა; 31. ჰიდრა; 32. ალამი; 33. დუ; 34. ლა.

**სურათებზე:** ჯულიანა მური; ჯო კოული.

# ჯემალ დემურაძე: „როდესაც გოგონა გარდამეცვალა, ღმერთს შევფიცე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, სიკეთეს გავაკეთებ“

## სოციალურად დაუცველი მსახიობი სხვებს ეხმარება



ეკა ირემაშვილი

პროფესიით მსახიობი ჯემალ დემურაძე წლებია გაჭირვებულ ადამიანებს ეხმარება. ადამიანი, რომელიც თავადაც სოციალურად დაუცველია და ქალაქის გარეუბანში მიტოვებულ შენობაში მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად ცხოვრობს, ულამაზებს ცხოვრებას იმ ბავშვებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

ჯემალ დემურაძე ლილოს დასახლებაში ერთ მიტოვებულ შენობაშია ყოველგვარი პირობების გარეშე, არც წყალი აქვს, არც სინათლე, არც გაზი და არც კანალიზაცია, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, იყოს ბედნიერი სხვისი შვილების გახარებით.

ჯემალ დემურაძე გადაცემა „იმედის გმირების“ გამარჯვებულია. მან მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა და საჩუქრად თანხაც მიიღო, რომლის ნახევარიც ისევ ქველმოქმედებას მოახმარა.

წლებია მას თეატრ-სტუდია „მადლი“ აქვს, რომლის მთავარი მიზანი საქველმოქმედო წარმოდგენების გამართვა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარებაა ეტლით, ყავარჯნებით, ტანსაცმლით, საკვებით და სხვადასხვა საჭირო ინვენტარით.

**ჯემალ დემურაძე:**

– მე, ჩემი მეუღლე, ჩემი სამი შვილი და მათი მეგობრები ვატარებთ წარმოდგენებს და სიმბოლურ ფასად გაყიდული ბილეთებიდან ვყიდულობთ ეტლებს, ყავარჯნებს, საჭირო ნივთებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.

***– რატომ გაგიჩნდათ ასეთი იდეა?***

– სტუდიის შექმნის მთავარი მოტივი ქველმოქმედებაა. როდესაც 1994 წელს გოგონა გარდამეცვალა, ღმერთს შევფიცე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, სიკეთეს გავაკეთებ და ამ დაპირებას დღემდე პირნათლად ვასრულებ. ვთქვი, რომ დავეხმარებოდი ბავშვებს, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

ახლა სამი ვაჟკაცი მყავს: გიორგი, დიმა და რომა, რომლებიც ჩემთან ერთად ცდილობენ სხვების დახმარებას. გვერდში მიდგას ჩემი მეუღლე ფატიც და გვინდა, რაც შეიძლება ბევრ პატარას შევუმსუბუქოთ ყოფა და გავუხალისოთ ცხოვრება.

***– როგორ პოულობთ ბავშვებს, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება?***

– შევდივარ გამგეობებში, ვაგროვებ ასეთ ბავშვებზე ინფორმაციას, შემდეგ მივდივარ ოჯახში და ვეკითხები, რა სჭირდებათ, რომ დავეხმაროთ. ვატარებთ წარმოდგენებს ბაღებში, სკოლებში და რომ იგებენ ჩვენ შესახებ, ხშირად თვითონვე გვაწვდიან ინფორმაციას.

***– რა ღირს თქვენს წარმოდგენაზე ბილეთი?***

– 3 ლარი. ჯერ 3 ლარი რა არის და ამ ბოლო დროს ჩვენ მიმართ წამოვიდა ნეგატიური შეფასებები, რაც გულდასაწყვეტია. არაფრის მეშინია, ნებისმიერ სტრუქტურას შეუძლია შეამოწმოს ჩვენი თეატრ-სტუდია „მადლის“ საქმიანობა, ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. პოლიტიკა შორს არის ჩვენგან, ჩვენს ოჯახს გვინდა მხოლოდ სიკეთე ვაკეთოთ. ჩემს სამივე ვაჟკაცს ასე ვზრდი. არ მინდა ჩვენ გარშემო კითხვები არსებობდეს, განათლების სამინისტროს, ბაღების სააგენტოს, რესურსცენტრებს, ყველას შეუძლია შეგვამოწმოს და ნახოს, რას ვაკეთებთ და სად მიდის ეს თანხები.

***– რამდენ ბავშვს დაეხმარეთ?***

– ძალიან ბევრს. არასდროს დამითვლია, მაგრამ ასეულებზეა უკვე საუბარი. სოფელ გამარჯვებაში მოხდა შემთხვევა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

ბავშვს ეტლი გადავეცით. იმ სკოლაში კიდევ სამი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარა იყო. მეორედაც მოგვიწია ჩასვლა, რომ დანარჩენ ორ ბავშვს დავხმარებოდით და კონცერტი გაგვემართა. სკოლის დირექტორმა მითხრა, შენთვის სიურპრიზი მაქვსო და ბავშვი, რომელსაც ეტლი გადავეცით, სცენაზე საკუთარი ფეხით ავიდა. ჩვენი საჩუქარი კი სხვა პატარასთვის გადაუცია. ეს შოკი იყო! მსგავსი სიხარული იშვიათად თუ განმიცდია.

***– უახლოეს მომავალში სად გაიმართება თქვენი წარმოდგენები?***

– ჩვენ სამგორის რაიონში ჩავატარეთ ღონისძიება, ახლა კი ისნის რაიონში გვინდა გრანდიოზული წარმოდგენის ჩატარება. ვეპატიჟებით ყველას, მოვიდნენ, იმხიარულონ, გაერთონ და ერთად დავეხმაროთ ადამიანებს, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

* * *

საქართველოს ცირკის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გოჩა ხარატიშვილი იხსენებს, რომ ჯემალ დემურაძემ თავის დროზე ძალები საცირკო ხელოვნებაშიც მოსინჯა.

***– იყო ჯამბაზი, ილუზიონისტი, ჟონგლიორი და ა.შ. სკოლის დამთავრების შემდეგ, სულ მალე, 17 წლის ასაკში ოჯახიც შექმნა, მისი მეუღლე ფატიმა, ასევე თეატრალური და საცირკო ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა და ხელოვანმა მეუღლეებმა ძალზე კარგი, შეხმატკბილებული ოჯახი შექმნეს, – ამბობს გოჩა ხარატიშვილი.***

2013 წელს ჯემალ დემურაძე, თავის ოჯახთან ერთად, ტელეპროექტ „იმედის გმირების“ მეორე ადგილის პრიზიორი გახდა. საქართველოს ბანკმა გადასცა 3.000 ლარი, ხოლო 2013 წლის ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამარჯვებულები მიიწვია ავლაბრის რეზიდენციაში და ამას მოჰყვა 1.000 ლარიანი ფულადი ჯილდო.

***– ეს იყო და ეს. მას შემდეგ არც ჯემალ დემურაძე და არც მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი არავის გახსენებია ისევე, როგორც სხვა ხელოვნები, რომლებიც საცირკო სფეროს შემდგომ განვითარება-პოპულარიზაციას ეწევიან, – აცხადებს გოჩა ხარატიშვილი.***

ის ამბობს, რომ ჯემალ დემურაძე ცხოვრობს ლილოში ტაქსომოტორების პარკის ყოფილი შენობის პირველ სართულზე, რომელიც გაპარტახებული იყო და მისმა ოჯახმა მძიმე დაუღალავი შრომით რაღაცას დაამსგავსა და რომელიც, მრავალი თხოვნის მიუხედავად, კვლავ გაუფორმებელია.

– ნუთუ მისი ოჯახი ამას იმსახურებს? რატომ არ ფასდება დღევანდელ საქართველოში მისი საქველმოქმედო საქმიანობა სათანადოდ? – კითხულობს გოჩა ხარატიშვილი.

## პატრიარქმა 1.116 ბავშვი მონათლა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 1.116 ბავშვი მონათლა.

რიგით 43-ე საყოველთაო ნათლობა კვირაცხოვლობის დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარში გაიმართა. ილია მეორე ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილების ნათლია გახდა.

პატრიარქის ნათლულებს გადაეცათ ნათლობის სიგელი, ნათლობის ჯვარი და ახალი აღთქმა. ნათლობის დასრულების შემდეგ კი ილია მეორემ თავისი ნათლულები დალოცა.

## სამგლოვიარო განცხადებები

ქართული ხალხური ცხენოსნობის ეროვნული ფედერაცია იუწყება, რომ საქართველოს საცხენოსნო სპორტის ვეტერანს, სპორტული მედიცინის რაიტთერაპიისა და რესპუბლიკაში სამედიცინო განათლების გამოჩენილ მკვლევარსა და მოღვაწეს, დიმიტრი წვერავას, გარდაეცვალა მეუღლე

**ეთერ ფანჯავიძე-წვერავა**

ხალხური ცხენოსნობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ დიტოს მისი სპორტული და სამეცნიერო ცხოვრების სტუდენტობის წლებიდანვე ერთგული თანამდგომისა და ამავე დროს დიდი ოჯახის დიასახლისის გარდაცვალების გამო.

...„ სულმან მისმან კეთილთა შინა განისვენოს, და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა“.

ნაპოლეონ ლემონჯავა ოჯახთან ერთად იუწყება, რომ გარდაიცვალა ახლო ნათესავი, აფხაზეთიდან დევნილი

**ნუნუ ლემონჯავა-ჯოლოგუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლემონჯავების საგვარეულო იუწყება

**ნუნუ ლემონჯავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

დაბადების დღეს ვულოცავთ მარად დაუვიწყარ ზეციურ საუფლოში მარადისობის ბინადარ საყვარელ მეგობარს, ბატონ

**სერგო თუნგიას**

დაე, მფარველ ანგელოზად ეყოლოს მის საყვარელ ხალხს, აწ და მარადის!

*ნოდარ ზარანდია, რაჟდენ ქარდავა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## გირშელ ჯავახიშვილის დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება

„ვანოს შოუს“ მუსიკოსის გირშელ ჯავახიშვილის დასახმარებლად კონსერვატორიის დიდ დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება.

გირშელი უმძიმეს დაავადებას, სიმსივნეს ებრძვის. 35 წლის მუსიკოსი 5 წლის განმავლობაში ვანო ჯავახიშვილის შოუში კლავიშზე თამუნა ლეკვეიშვილთან ერთად უკრავდა. მოგვიანებით კი კარიერის გასაგრძელებლად ამერიკაში წავიდა, თუმცა ნიუ იორკში ჩასულს ჯანმრთელობა გაუუარესდა და მედიკოსებმა მას ძვლის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.



მუსიკოსმა უკვე ჩაიტარა ქიმიოთერაპიის კურსები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დაავადება კიდევ უფრო გართულდა და გირშელს მასთან გამკლავება მარტოს არ შეუძლია. მან სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელა, სადაც დახმარება ითხოვა, ვიდეორგოლში მოხვდა კადრები, სადაც გირშელის შერყეული ჯანმრთელობა და მკურნალობის სხვადასხვა ეტაპებია გაერთიანებული.

10 მაისს კონსერვატორიაში შეკრებილი მსმენელისთვის იმღერებენ და დაუკრავენ ბექა გოჩიაშვილი, რომა რცხილაძე, ზუკა სიმონიშვილი, ზურა რამიშვილი, დავით მაზანაშვილი, თამაზ ყურაშვილი, ზაზა ცერცვაძე, ფლეი ვორ ფლეისი, ნინო ქათამაძე და ჯგუფი ინსაითი, პაატა ანდრიაძე, კახა ჯაგაშვილი, პავკა კვაჭაძე, მაია ბარათაშვილი, ნოდარ ექვთიმიშვილი, ზაზა მარჯანიშვილი, ნიკოლოზ რაჭველი, გია სალაღიშვილი, გია რაქვიაშვილი, ლევან დეისაძე, გიორგი სამსონაძე და უჩა მეტრეველი.

საქველმოქმედო კონცერტის სლოგანია „ძალა ერთობაშია“ და მასზე დასასწრები ბილეთის ფასი 20 ლარია.

## გიორგი შენგელაიას ვარსკვლავს უხსნიან



კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ კინორეჟისორ გიორგი შენგელაიას ვარსკვლავს უხსნიან. 11 მაისს რეჟისორს 79 წელი უსრულდება. დაბადების დღეზე საქართველოს კულტურის პალატა მას საჩუქარს უმზადებს და სახელობით ვარსკვლავს უხსნის.

კინოთეატრის წინ უკვე გახსნილია მისი დედის ნატო ვაჩნაძის და ძმის ელდარ შენგელაიას ვარსკვლავები.

## რობერტ სტურუამ ხელი მოიტეხა



რეჟისორმა და რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა რობერტ სტურუამ ხელი მოიტეხა. შემთხვევა რუსთაველის თეატრის მსახიობის ტრისტან სარალიძის დაბადების დღეზე მოხდა. 78 წლის რეჟისორი კიბეებიდან დაგორდა და მარცხენა ხელი მოიტეხა.

ინფორმაცია ამის შესახებ რობერტ სტურუამ თავად გაავრცელა:

– ამბავი! მარცხენა ხელი მოვიტეხე ჩვენი ძვირფასი მსახიობის ტრისტანის დაბადების დღეზე. გაიხარეთ! კიბეზე დავგორდი. ვწევარ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სოფო ნიჟარაძემ ახალი სიმღერა ჩაწერა



მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ, რომელიც „იქს ფაქტორის“ მესამე სეზონის ერთ-ერთი მენტორია, ახალი სიმღერა ჩაწერა.

„მაპატიე“ – ასე ეწოდება სიმღერას, რომლის ავტორიც რუსა მორჩილაძეა, ტექსტი კი ირინა სანიკიძეს და დავით დოიაშვილს ეკუთვნით.

სიმღერა მომღერალმა „ბრავო რექორდსში“ ჩაწერა. უახლოეს მომავალში სოფო ამ სიმღერაზე ვიდეორგოლის გადაღებასაც გეგმავს, თუმცა შემოქმედებითი გუნდის დაკონკრეტებისგან ჯერ თავს იკავებს.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 10 მაისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 00.30** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ცხოვრება ციფრებში" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** "ევროვიზია **2016**" I ნახევარფინალი **00.40** მხ/ფ "**მდინარე**" (მ.გიბსონი) **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** "აფხაზეთი" **11.00** დ/ფ "პატარა მომთაბარე ტომები და პოლარული სიცივე" **13.00** დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **14.00** დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **16.00** დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** ცოდნა ფულია **23.20** გრიფით საიდუმლოო **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**შეყვარებულები**" **03.15** ქ.მხ/ფ "**ფარაჯანოვი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** არჩევანი **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

GDS

**8.00** ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**ანაპოლისი**" **2.30** URBAN STORIES

**06.10** სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** საქართველოს ქალაქები-"თელავი" **2** **11.10** დ/ფ "ანდრია პირველწოდებულის შემოსვლა" **11.30** ერთი წვეთი **2** **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ "**რაც გინახავს ვეღარ ნახავ**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** დ/ფ "კოლხეთის ეროვნული პარკი" **15.50** კონცერტი "ანდრე რიე" **16.30** მგზავრები წუთისოფლისა "აჭარა-სოფ. სარფი" **16.00** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **17.15** დ/ფ "ბერი პაისი მთაწმინდელი" **17.45** სიბრძნისმეტყველება **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "კარბელაშვილები-მადლმოსილი ოჯახი" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** ჩვენი ფონდი **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30,** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები"**-33** (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05,** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 14.05, 15.30, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **19.05** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**უცხო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2134 |
| ევრო | 2.5270 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2072 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3432 |

## ამინდის პროგნოზი 10 მაისისთვის




# 12 მაისიდან ტიმ სევერინი




მსოფლიოში ცნობილი ბრიტანელი მკვლევარი, ისტორიკოსი და მწერალი ტიმ სევერინი 1984 წელს თანამედროვე არგონავტებთან ერთად საბერძნეთიდან თურქეთის გავლით, 12-ნიჩბიანი ხომალდით კოლხეთისკენ გამოემგზავრა.

მისი მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ 3.000 წლის წინ იასონის მეთაურობით დაწყებული მოგზაურობა ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ფიზიკურად შესაძლებელი იყო.

„იასონის მოგზაურობა" სწორედ სევერინისა და თანამედროვე არგონავტების საბერძნეთიდან საქართველომდე მოგზაურობას ასახავს.

## იასონის მოგზაურობა

### ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## კალეიდოსკოპი



# პრინცესა დიანას საფლავი მიტოვებულია



პრინცესა დიანას საფლავის რესტავრაციისთვის რამდენიმე მილიონი ფუნტი იქნება გამოყოფილი და ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც უამრავი საჩივარი იქნა მიღებული იმის გამო, რომ პრინცესას საფლავი მიტოვებულია და არავინ უვლის.

აღსანიშნავია, რომ კუნძული, სადაც პრინცესაა დაკრძალული, და ტბა, სადაც ის მდებარეობს, მომავალი წლისთვის კეთილმოეწყობა. სწორედ მომავალ წელს შესრულდება 20 წელი დიანას გარდაცვალებიდან.

საფლავის რეკონსტრუქციას დიანას ძმა, გრაფი სპენსერი უხელმძღვანელებს, რომელიც ადრე მკაცრად გააკრიტიკა დიანას პირადმა მზარეულმა დარენ მაკგრეიდმა იმის გამო, რომ პრინცესას საფლავი ბალახმა დაფარა. ეს მან მას შემდეგ გააკეთა, რაც პარკი მოინახულა, სადაც ტბა და კუნძული მდებარეობს.

აღსანიშნავია, რომ პარკში შესვლა ფასიანია და ის 18,5 ფუნტი სტერლინგი ღირს.

# ესპანეთის პლაჟები კვლავაც საუკეთესოდ აღიარეს



ესპანეთის პლაჟები კვლავაც მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. ამ ინფორმაციას ეკოლოგიური და სამომხმარებლო განათლების ასოციაცია ავრცელებს.

2016 წელს ესპანეთმა საკუთარი რეკორდი მოხსნა: მისმა პლაჟებმა 586 „ცისფერი ალამი" მიიღეს (577 ალამი 2015 წელს). ქვეყანა პირველ ადგილს 1987 წლიდან ინარჩუნებს.

ამ სიაში მეორე ადგილზეა თურქეთი 444 „ცისფერი ალმით". შემდეგ მოდიან საბერძნეთი (430 ალამი), საფრანგეთი (400) და პორტუგალია (315).

რაც შეეხება ესპანურ პლაჟებს, „ცისფერი ალმების" ყველაზე დიდი რაოდენობა ვალენსიამ მიიღო – 125. შემდეგ მოდიან გალისია, კატალონია, ანდალუსია და ბალეარის კუნძულები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი



●●●

ტელეფონი რეკავს:

– ალო, სასწრაფოა?

– დიახ, გისმენთ.

– ბავშვმა საწერი კალამი გადაყლაპა.

– ახლავე გამოვდივართ!

– მანამდე რა ვქნათ?

– ფანქრით წერეთ.

●●●

ოსი ზის და წამლებს ყლაპავს. მეზობელი ეკითხება:

– ცუდად ხარ?

– ალა.

– აბა, წამლებს რატომ სვამ?

– ამ წამლებს დღეს შენახვის ვადა გასდის და აბა, ხომ ალ გადავყლი!

●●●

ორი ძველი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. მოკითხვის შემდეგ ერთი მეორეს ეკითხება:

– თმები გცვივა?

– არა.

– აბა, იპუტავ?!

●●●

დაქალები საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ორსულობის ტესტი ჩავაბარე.

– მართლა? და რთული შეკითხვები იყო?

– ისე რა...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– მას შემდეგ, რაც ქმარს გავშორდი, ყოველდღე მირეკავს და ქვითინებს...

– პატიებას გთხოვს და ნანობს ხომ ეგ არამზადა?!

– არა, ბედნიერია და მადლობებს მიხდის, მართლა ეგ არამზადა.

●●●

ორი ნარკომანი დგას რუსთაველზე. ამ დროს ერთი შეამჩნევს, რომ მათკენ პოლიციელები მიდიან. ერთი მეორეს ეუბნება:

– აუ, ბიჭო, ხედავ, ეს პოლიციელები ცისფერები არიან.

– შენ რა იცი?

– აბა, ბიჭო, ამ რუსთაველზე ამდენი ლამაზი გოგო დადის და ესენი კიდევ ჩვენსკენ მოდიან.

●●●

ბიჭმა გოგონა რესტორანში დაპატიჟა და ეკითხება:

– მშრალ ღვინოს მიირთმევ?

– რა ვიცი, ცოტა დამიყარე.

●●●

ორო გოგონა ორმოში ჩავარდება. ერთი მეორეს ეუბნება:

– მგონი, აქ სიბნელეა?!

– რა ვიცი, ვერ ვხედავ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# 10 მაისიდან ანა ფრანკის დღიური




ოქროს ბიბლიოთეკა

ტომი 2

**წიგნისა და გაზეთის ფასი 10 ლარი**

## დანიელ სტარიჯი ლივერპულში ბედნიერია



ლივერპულის ფორვარდმა დანიელ სტარიჯმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ლივერპულში ყველაფერი რიგზე აქვს, ამიტომ ხმები მისი წასვლის შესახებ სიცრუეა.

სტარიჯმა იმ ადამიანებს უპასუხა, რომლებიც ფიქრობენ, რომ ის ლივერპულში საკმარის სათამაშო დროს არ ღებულობს და იურგენ კლოპთან ამის გამო უთანხმოება აქვს. სინამდვილეში ეს ასე არ არის და სტარიჯი კმაყოფილია თავისი მდგომარეობით ლივერპულში და ევროპის ლიგის ფინალს მოუთმენლად ელის, სადაც მისი გუნდი სევილიას დაუპირისპირდება.

დანიელ სტარიჯი ლივერპულში 2013 წელს გადავიდა და მერსისაიდული გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

## ბენ არფა ბარსელონას მიუახლოვდა



ნიცას ფრანგი ფეხბურთელი ჰატემ ბენ არფა ბარსელონაში ჩაფრინდა. ცნობილია, რომ ბენ არფას სეზონის ბოლოს ნიცასთან კონტრაქტი ეწურება და ის სავარაუდოდ კარიერას სხვა კლუბში გააგრძელებს.

ბარსელონა დაინტერესებულია ფრანგი შემტევის შეძენით და ბენ არფას ვიზიტი კატალონიის დედაქალაქში სწორედ ამ ტრანსფერს უკავშირდება.

თავის დროზე ბენ არფა საფრანგეთში ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო, მაგრამ გაცემული ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლა.

ნიცამდე ბენ არფა ნიუკასლში თამაშობდა, საიდანაც სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო წამოვიდა.

რაც შეეხება ბარსელონას, კატალონიელები პსჟ-ს მცველით მარკინიოსის შეძენითაც არიან დაინტერესებულები.

## დენის ჩერიშევი ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს



რუსეთის ნაკრების ფეხბურთელი დენის ჩერიშევი, რომელიც ვალენსიას ღირსებას იცავს, ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს. ამის მიზეზი კი ტრავმაა, რომელიც ჩერიშევს მთელი სეზონის მანძილზე აწუხებდა.

სწორედ მაშინ, როდესაც რუსი ფეხბურთელი მოედანზე უნდა დაბრუნებულიყო, მას ტრავმამ თავი შეახსენა და ჩერიშევი დაახლოებით 4 თვე იქნება ფეხბურთის გარეშე. დენის ჩერიშევი ჯერ კიდევ მადრიდის რეალს ეკუთვნის, თუმცა ვალენსიას დიდი სურვილი აქვს, ჩერიშევი ბოლომდე გამოისყიდოს.

რეალი რუს ფეხბურთელში 15 მილიონ ევროს ითხოვს და ფასის დაკლებას არ აპირებს.

## ბარსელონა ზაფხულში ლივერპულს და ლესტერს შეხვდება



ბარსელონამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ზაფხულში ლესტერის და ლივერპულის წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრებს გამართავს. ამ მატჩების ზუსტი თარიღებიც ცნობილია. ლესტერთან ბარსელონა 3 აგვისტოს ითამაშებს და ეს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში მოხდება.

ლივერპულს კატალონიელები 6 აგვისტოს დაუპირისპირდებიან და ამ შეხვედრის ჩატარების ადგილი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

ორივე ეს თამაში საინტერესოა, რადგან ლესტერი ბარსელონას არასოდეს შეხვედრია, ხოლო ლივერპულთან შეხვედრას დამატებითი ინტრიგა აქვს, რადგან ლუის სუარესი თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 2. გ.კილაძის მუსიკაზე, ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიით დადგმული ბალეტი; 3. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 4. სააღდგომო ნამცხვარი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. გემთმშენებლობის ცენტრი უკრაინაში; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 18. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 20. ხორცის შესაწვავი, მბრუნავ შამფურებიანი ელექტროღუმელი; 22. ფულის ერთეული თურქეთში.

**თარაზულად:** 6. პატარა ავსტრალიური კენგურუ; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი, ნაციონალური მოძრაობის წევრი შუა-აზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 13. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 14. ხილის წვენებით შეზავებული სპირტიანი სასმელის ნარევი; 19. ექიმის პროფესია; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 25. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 26. თბილისის მერი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




ლურჯი წითელი ყვითელი შავი